სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 24 ივლისი 2006 №168 (2790) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული კალათბურთის მომავალი ელიტის ანბანს სწავლობს

ბაგრეს ჯიმილადის ფოტო

საქართველოს ახალგაზრდა კალათბურთელთა ნაკრებმა ევროპის დასალიერში, პორტუგალიაში გამართული კონტინენტის ახალგაზრდული ჩემპიონატის B ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და საგაისოდ ელიტარულ, A ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა. დავით უსტიაშვილის გუნდისთვის მთავარი მატჩი შაბათს იყო ფინელებთან, რომლებმაც ბოლო წლებში სხვადასხვა დონეზე არაერთხელ გაგვამწარეს და უშუალოდ პორტუგალიაშიც მოგვიგეს პირველ ჯგუფურ ეტაპზე. რევანში შედგა — ვიქტორ სანიკიძის წინამძღოლობითა და სხვათა არანაკლებ თავდადებული თამაშის წყალობით ჩვენმა ნაკრებმა დამაჯერებლად დაამარცხა მეტოქე და ფინალური მატჩისა და A ჯგუფის საგზური ერთდროულად მოიპოვა. ფინალი სიმბოლური იყო, მაგრამ ქართველებს სიმბოლოები გვიყვარს ხოლმე და უსტიაშვილის შეგირდებმა მაკედონიის ნაკრებიც დაჯაბნეს და A ჯგუფში თავაწეულებმა შეაბიჯეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გდანს-კი!

ბაგრეს ჯიმილადის ფოტო

ადრე, გასული საუკუნის 70-იან წლებში, ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია დიდი წარმატებით თამაშობდნენ დევისის თასზე და ერთი-ორჯერ ძალზე ახლოს იყვნენ ვერცხლის სასალათესთან. ერთი ეგ იყო, მაშინდელ ქვეყანას საბჭოთა კავშირი ერქვა და მეტრეველი და კაკულია რომ ქართველები იყვნენ, ამ საბჭოეთის იქით ცოტამ თუ იცოდა. ირაკლი ლაბაძესა და ლადო ჩიხლაძეს მეტრეველ-კაკულიობამდე ჯერ ბევრი უკლიათ და ვერცხლის სასალათეც კვლავაც ძალიან შორს მოჩანს, მაგრამ ფაქტია — ირაკლისა და ლადოს წყალობით საქართველოში დიდი ჩოგბურთი დაბრუნდა — შეუპოვარმა ქართველებმა აპრილში სამხრეთაფრიკელთა ძლევა არ იკმარეს და პოლონური გდანსკის თიხნარზე იქაურ ნაკრებს სასწაულებრივად შემოუტრიალეს თამაშის ბედი. საქართველოს სადევისთასო ნაკრებმა ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფის მორიგი მატჩიც მოიგო და ისტორიულ მიჯნას მიადგა — თუ სექტემბერში უნგრეთსაც დაამარცხებს, ჩვენი გუნდი ამ ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში აღზევდება. იქიდან კი გზა დევს ელიტარულ, მსოფლიო ლიგამდე.

ჰა, მოედანი ახალი ხალიჩა უკვე გაიშალა



ბაგრეს ჯიმილადის ფოტო

15 + გაგრა თუ 14?

განტოლების ამოხსნამდე დარჩა ერთი დღე

დღეს უნდა გაირკვეს რამდენი გუნდი ითამაშებს უმაღლესი ლიგაში — ფინანსური პრობლემების გამო უმაღლეს ლიგის დათმობა გორის „დილას“ და ფოთის „კოლხეთს“ ემუქრებათ და არაა გამორიცხული, მათ კიდევ დაემატოს რომელიმე გუნდი. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა დღეს საგანგებოდ იმსჯელებს ამ საკითხზე და დღესვე გაიმართება სარევიზიო კომისიის სხდომა, რომელიც გუნდების მდგომარეობას იკვლევდა. დღესვე ოფიციალურად უნდა ეცნობოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, თუ რომელი გუნდი თუ გუნდები ვერ შეძლებენ უმაღლეს ლიგაში თამაშს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საამისოდ ბოლო გადა იმიტომაა, რომ ხვალ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაა, რომელმაც უნდა დაამტკიცოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატის დებულება და შესაბამისად ისიც, რამდენი გუნდი იქნება უმაღლეს ლიგაში და საჭიროების შემთხვევაში რომელ გუნდს დაამატებენ უმაღლეს ლიგას.

„კოლხეთის“ გასაჭირზე წინა „სარბიელშიც“ გწერდით, კოლხთა პრეზიდენტმა მერაბ ასანიძემ გვითხრა, მალე ოფიციალურადაც გამოვაცხადებ, რომ გუნდი უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებსო.

რაც შეეხება გორის „დილას“, გუნდმა ახალი მწვრთნელის, ოთარ კორღალიძის ხელმძღვანელობით ხუთი ვარჯიში ჩაატარა, შეკრებაზეც გადავიდა გორის სასტუმროში, მაგრამ მერე „დილა“ სასტუმროდან გამოაძევეს, საამისო ფული არ არისო. „დილა“ კორღალიძემ ისე დატოვა, რომ შიდა ქართლის გუბერნატორ მიხეილ ქარელთან შეხვედრა ვერ მოახერხა.

ვთქვათ, „კოლხეთიდან“ და „დილადან“ ერთ-ერთმა გამოძებნა სახსარი უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ — ასეთ შემთხვევაში გუნდების რაოდენობა უმაღლეს ლიგაში იქნება 15, კენტობით კი ჩემპიონატი არ გამოვა და ფეხბურთის ფედერაციას უმაღლეს ლიგაში სხვა გუნდის დამატება მოუწევს.

წინა სეზონში უმაღლესი ლიგიდან „სპარტაკი“ და „სოხუმი“ გავარდნენ. „სოხუმი“ უფულობის გამო პირველ ლიგაშიც ვერ ითამაშებს, ფინანსურად შეჭირვებული „სპარტაკის“ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას კი ალბათ აზრი არ აქვს.

თუ უმაღლეს ლიგაში თამაშის შემძლე გუნდების რაოდენობა 15-მდე შემცირდება, ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად პირველი ლიგიდან „გაგრის“ დამატება სჭვივის, რომელსაც ნორმალური ინფრასტრუქტურა გააჩნია.

„გაგრა“ 2005-06 წლების სეზონში უმაღლეს ლიგაში აღზევებისთვის იბრძოდა, პლეი ოფამდეც მიაღწია, სადაც „ცხინვალთან“ მატჩში მომხდარი ექსცესების გამო უმაღლეს ლიგას ვერ შესწვდა.

არც „გაგრას“ და არც პირველი ლიგის სხვა გუნდს არ მიუღია უმაღლეს ლიგაში თამაშის ოფიციალური შეთავაზება, მაგრამ შეეტყვეთ, რომ დღეს თბილისში უკრაინიდან ჩამოდის „გაგრას“ პრეზიდენტი ბესო ჩიხრაძე და შეგვიძლია ეივარაუდოთ, რომ ეს შემთხვევით არ ხდება. გუშინ ჩიხრაძეს უკრაინაში დავუკავშირდით და გვითხრა, რომ ასეთი შეთავაზების შემთხვევაში „გაგრა“ დაფიქრდება...

დამით თამგართაძილაძე



პლეი ოფში „ცხინვალთან“ ვერგამარჯვებულ „გაგრას“ უმაღლეს ლიგაში თამაშის შანსი გაუჩნდა, შიდაქართლელებს კი ფინანსურად ახლაც არ ულხინთ

პრეზიდენტდაჭერილმა ტორპედომ თამაში დაიჭირა

სამი ტუზი ყოველთვის ვერ მოვა

ქუთაისის „ტორპედო“ დალაგებულ-დაწყნარებული ვერ იწყებს სეზონს. ან როგორ დაიწყებს, როცა კლუბის პრეზიდენტი გრიგოლ ხურციძე პატიმრობაშია. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ „ტორპედოს“ მესვეურები ამბობდნენ, სულ მცირე, უეფას თასის საგზურისთვის ვიბრძოლებთო, დღეს კი...

ქუთაისელთა მთავარი მწვრთნელი და კლუბის ვიცე-პრეზიდენტი რევაზ ძოძუაშვილი უკეთ გაგებარკვევს ვითარებაში

— მიუხედავად იმისა, რომ ხურციძის დაკავებამ კალაპოტიდან ამოგვაგდო, ვვარჯიშობთ და ასე თუ ისე, ნორმალურ მდგომარეობაში შეგხვდებით ახალ სეზონს.

— გრიგოლ ხურციძის დაკავების მიზეზებზე, იქნებ, უფრო ზუსტად გვითხრათ?

— როგორც ვიცი, 30 000 ლარზეა ლაპარაკი. უბრალოდ, ხურციძეს გაფორმებული არ ჰქონდა ეს თანხა კლუბზე, თორემ 30 000-ზე ორჯერ მეტი დაახარჯა „ტორპედოს“. წესით, ამ საადგილო თანხას თუ გადაიხდის, ხურციძეს თავისუფლება უნდა მიანიჭონ. მე ბუღალტრულ და იურიდიულ საკითხებში დიდად ვერ ვერკვევი, მაგრამ ხურციძე რომ კლუბის კეთილდღეობისთვის ზრუნავდა.

— ამჟამად კვლავ ცუდი ფინანსური მდგომარეობაა „ტორპედოში“?

— სპონსორი „სამი ტუზი“ ძალას არ იშურებს, მაგრამ ისინი ვალდებულები არ არიან, ხელფასები გასცენ — ისინი სპონსორები არიან და არა მფლობელები. ხელფას-პრემიები კი ორი თვისა ასაღებია. ფეხბურთელები ენთუზიაზმით გარჯიშობენ და იმედი აქვთ, რომ კუთვნილს მიიღებენ.

— თურქული შეკრებაც, ცხადია, ხურციძის დაკავების გამო ჩაიშალა...

— რა თქმა უნდა. ამიტომაც, ახლა ვეძებთ სპარინგ-პარტნიორებს, ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი შეხვედრის გამართვა კარგი იქნებოდა.

— რუსთავის „ოლიმპთან“ დღეს უნდა გვთამაშათ...

— დიახ, ქუთაისში ვეთამაშეთ და 1:0 მოვუგეთ რევაზ კვერნაძის გოლით.

— წინა სეზონის მაწურულს ლევან კორღალიძე, გიორგი ყოფიანი და დავით გამეზარდაშვილი აიყვანეთ გუნდში. ისინი კვლავ „ტორპედოში“ არიან?

— გამეზარდაშვილი ჩვენთანაა, კორღალიძე და ყოფიანი კი წავიდნენ — მათ იმდენ ფულს ვერ გადავუხდიდით, რასაც სხვა გუნდები სთავაზობენ. საერთოდაც, „ტორპედოში“ სელექცია ჯერ არ დამთავრებულა. სამი დღის შემდეგ საბოლოოდ გვეცოდინება, ვინ დარჩება გუნდში და ვინ არა. უფრო ქუთაისელ ბიჭებზეა აქცენტი გაკეთებული — გაძლიერება ყველა რგოლს სჭირდება, მაგრამ როცა საშუალება არ არის...

ილია ნანოგაფშვილი

ფოფხაძე ბურგჰაუზენშია

შოტლანდიურ „ჰარტსში“ ვერმოწყობილი 19 წლის გიორგი ფოფხაძე გერმანიაშია და მის მეორე ბუნდესლიგაში თამაშს კარგი პირი უჩანს.

ჩვენებური მარცხენა მცველი „ვაკერ ბურგჰაუზენშია“, რომელმაც ბოლოს ერთ-ერთ ქვედალიგელთან ითამაშა ტესტმატჩი და 7:1 მოიგო — ფოფხაძემ შეხვედრა სრულად ჩაატარა.

„ბურგჰაუზენში“ რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი თამაშობს — მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილი მეკარე და მარჯვენა ნახევარმცველი — უვე გოსპოდარეკი და მიხაელ ვიზინგერი.

ლუკა თალაძვაძე

ვიტალი დარასელიამ ყარაგანდის „შახტიორთან“ კონტრაქტი გააფორმა და გუშინ დებიუტიც ჰქონდა. ყაზახეთის ჩემპიონატის მეცამეტე ტურში „შახტიორმა“ „ალმათის“ შინ 1:0 მოუგო, დარასელია კი 62-ე წუთზე შეეიდა მოედანზე 9-ნომრიანი მაისურით და, ყარაგანდელთა ვებგვერდის ცნობით, მეტოქის დაცვა აუწიოკებია.

ყაზახები კი იმასაც წერენ, ჩვენს ჩემპიონატში დარასელიას კლასის ფეხბურთელს არც უთამაშია და წარმოგვიდგენია, „შახტიორის“ სტადიონზე როგორ მოიმატებს გულშემატკივართა რიცხვი.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ყარაგანდელთა გუნდში დებიუტი ჰქონდა კიდევ ერთ ქართველს — გიორგი გაბიდაურს. 27 წლის ნახევარმცველმა „ალმათისთან“ სრულად ითამაშა და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო თავისიანებში.

ილია ნანოგაფშვილი

დარასელია ყარაგანდის ცხრიანია

თუ ტუ გინდა, ღამეს აეროპორტში გაატარებ

გადრი კვირილაძის ფოტო

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასულმა ბოლნისის „სიონმა“ გუშინ თბილისში, „ლოკომოტივის“ ბაზაზე ივარჯიშა, მანამდე კი კახა ცხადაძე შეგირდებს ბოლნისში ამზადებდა 26 ივლისს ბულგარეთის ჩემპიონ „ლევსკისთან“ მატჩისთვის.

„სიონი“ ბულგარეთში 25 ივლისს გაემგზავრება ჩარტერული რეისით, მატჩი კი სოფიაში იქაური დროით 20:30 საათზე დაიწყება და შეხვედრის შემდეგ მყის შინ დაბრუნებას შეეცდება, თუმც ამის დიდი შანსი არ აქვს.

საქმე ისაა, რომ „სიონი“ ბულგარეთში და აქეთ საბჭოთა წარმოების თვითმფრინავ TU 134-ით იმგზავრებს, ხოლო საბჭოთა თვითმფრინავებს ევროპაში შუაღამის 12 საათიდან გათენებამდე ფრენა ეკრძალებათ. ანუ, თუ „სიონმა“ ბულგარეთიდან შუაღამის 12 საათამდე ვერ მოასწრო გამოფრენა, აეროპორტში მოუწევს ღამისთევა. მატჩის შემდეგ შხაპის მიღება, აბარგება, აეროპორტამდე მისვლა, რეგისტრაცია... ყველაფერ ამას „სიონი“ შუაღამემდე ალბათ ვერ მოასწრებს, ღამის სასტუმროში გათევა კი მისთვის ზედმეტი ხარჯია.

საქართველოში ბულგარეთის წარმომადგენლობამ კი „სიონს“ ანგარიში გაუწია და ბოლნისელები კონსულ იან რაიჩევს ემადლიერებიან — ბოლნისელთა ორმოცკაციანი დელეგაცია ბულგარეთში უვიზოდ შევა.

დავით თავართქილაძე

ამერი: გაგრა მაგრად, მაგრამ წინ ერევანია

უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე სომხურ „ბანანცთან“ საპასუხო მატჩის წინ თბილისის „ამერმა“ ბოლო ამხანაგური მატჩი ჩაატარა. შაბათს „ამერის“ მეტოქე „გაგრა“ იყო, რომელიც ამჟამად პირველლიგელი კია, მაგრამ შანსია, ახალი სეზონი უმაღლეს ლიგაში დაიწყოს — ჯიბეცარიელ უმაღლესლიგელს ჩაენაცვლოს.

თამაში „ამერმა“ ტრადიციულად ცუდად დაიწყო. თბილისელებს ასე სჭირთ, რომ თამაშის ასაწყობდასალაგებლად დრო სჭირდებათ. ამ დალაგებაზე დახარჯულ წუთებში კი გაგრელებმა ანგარიში გახსნეს.

ამის მერე, როგორც მოსალოდნელი იყო, „ამერმა“ თამაში დაალაგა, უპირატესობა მთლიანად ხელში ჩაიგდო და შედეგიც მოიმკა: 5:1 მოიგო. ორი გოლი რატი წინამძღვრიშვილმა გაიტანა, თითოც დავით ბოლქვაძემ, გიორგი სილაგავამ და დიმიტრი ტატანაშვილმა შეაგდეს.

როგორც თავში აღვნიშნეთ, ეს „ამერის“ ბოლო ამხანაგური მატჩი იყო „ბანანცთან“ შეხვედრამდე. თბილისელები ერევანში 25 ივლისს გაემგზავრებიან, თამაში კი, შეგახსენებთ, 27 ივლისსაა.

შაბათს გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

ამერი: *ქვაჩახია, მჭედლიშვილი, ჩიკვილაძე, დავითნიძე, ელბაქიძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, სილაგავა, დოლიძე, სევასტოპულო, წინამძღვრიშვილი. შეცვლაზე შეკიდნენ: ნადირაშვილი, კედელაშვილი, გვაძაბია, დავითაშვილი, ჩიბაკაძე, გაბისკირია, ბერიანიძე, ბოლქვაძე, ტატანაშვილი, ხვადაგიანი*

გაგრა: *ტალახაძე, მერაბიშვილი, ახობაძე, ქორთუა, თოთაძე, მგელაძე, ჟრიამაშვილი, ჩიხლაძე, ტყეშელაშვილი, კირკიტაძე, მესხი. შეცვლაზე შეკიდნენ: ჩაჩანიძე, მგალობლიშვილი, კვანტალიანი, მამუკაშვილი, მელაძე, მოდებაძე, ჯოხაძე, კორიფაძე, ავალიანი*

გადრი კვირილაძის ფოტო

რატი წინამძღვრიშვილმა გაგრელებს ორჯერ გაუტანა

ზესტაფონმა ზესტაფონამდე პარაგვაი დაამარცხა

„ზესტაფონი“ უკვე საქართველოშია და მომავალი სეზონისთვის მზადებას აქ გააგრძელებს. წამოსვლის წინ კი ფეროელებმა გერმანული შეკრების ბოლო მატჩი პარაგვაის ახალგაზრდულ ნაკრებთან გამართეს და 1:0 მოიგეს. გოლი მირზა ბუალავამ გაიტანა 23-ე წუთზე

მერაბ კოჭლაშვილმა გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *ჭანტურია (თევდორაძე 75), ღონღაძე, თოდუა, ჩხეტიანი, ხიდეშელი (ფარულავა 55), ბ. ნოზაძე (ბენაშვილი 75), გ. ნუგ. ჭელიძე, თურმანიძე, ბუალავა (გავაშელიშვილი 75), გოცირიძე (ნ. კვასხვაძე 75), იონანიძე.*

მთლიანობაში გერმანულ შეკრებაზე „ზესტაფონმა“ ხუთი საკონტროლო მატჩი გამართა, თუმცა ბოლო სამ შეხვედრაში არ უთამაშია 18 წლის ნახევარმცველ გიორგი განუგრავას, მიზეზი მცირე ტრავმა ყოფილა.

— ფეხმა და წელმა შემაწუხა, რის გამოც ვერ ვვარჯიშობდი. ორი შეხვედრა ვითამაშე, მათ შორის დონეცკის „მეტალურგთან“, რომელიც 0:0 დასრულდა.

ალბერტ ალექსანდროვის ფოტო

— შეკრებით კმაყოფილი დარჩით?

— რა თქმა უნდა. გარდა იმისა, რომ თამაშები მოვიგეთ, გუნდი უფრო მობილიზებული გახდა. გრიუნბერგში ადრეც ვყოფილვარ შეკრებაზე, ძალიან კარგი მოედნებია — გერმანიაა და სხვანაირად როგორ იქნება...

— ტრავმის გამო ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურები გაგიცდება?

— არა მგონია. თანდათან უკეთესობას ვგრძნობ და ვნახოთ, როგორ იქნება საქმე.

— პარაგვაის ახალგაზრდულ ნაკრებთან მოგება პატარა ამბავი არაა. როგორი თამაში იყო?

— სანახაობრივად კარგი შეხვედრა გამოვიდა. მთლიანობაში ვაჯობეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. მომენტები ჩვენ უფრო მეტი გვქონდა.

ილია ნანოგაფვილი

თბილისურ-არმიანსკული ამხანაგობა გრძელდება

თბილისის „დინამომ“ ვერა და ვერ მოუგო არმიანსკის „ტიტანს“. ყირიმულ შეკრებაზე მყოფი ჩვენები ამ უკრაინულ გუნდს უკვე მეორედ შეხვდნენ და ამჯერადაც ფრეს დასჯერდნენ — 0:0. ერთი კვირის წინანდელი შეხვედრა კი 1:1 დამთავრდა.

დინამოელთა თავკაცმა ამ უგოლო შეხვედრაში გუნდი ორი შემადგენლობით ათამაშა და ყველა იმ ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის საშუალება, რომლებიც სიმფეროპოლში წაიყვანა.

შესვენებამდე „დინამო“ ასეთი იყო: თოთლაძე, ლობჟანიძე, გიგაური, აკობია, გრიგალაშვილი, მერებაშვილი, ხმალაძე, ჩირიკაშვილი, ნავალოვსკი, ტიაგო, ჯანაშია. მეორე ტაიმში კი შემადგენლობა ასე შეიცვალა: თოთლაძე, შ. კაშია, გ. კაშია, ამბროზიო, კობახიძე, თომაშვილი, ნერგაძე, ხუციშვილი, დვალი, იაშვილი, მახარაძე.

შემდეგ საწვრთნელ შეხვედრას „დინამო“ დღეს „ილიჩევსკის“ მეორე გუნდთან გამართავს, ხვალ კი შინ დაბრუნდება და ახალ ჩემპიონატის პირველი ტურის საშინაო მატჩისთვის „ბორჯომთან“ მზადებას აქვე განაგრძობს.

ლუკა თალაკვაძე

კარლ ცაისს იენაშიც ამარცხებენ

მეორე ბუნდესლიგის აუე, სადაც დავით სირაძე თამაშობს, გუშინ შეკრებიდან მშობლიურ ერცგებირგეში ხელდამშვენებული დაბრუნდა — აუემ იენის ტურნირში გაიმარჯვა.

აუე იენიდან ოდნავ მოშორებით, დიურინბერგში იყო შეკრებაზე და მერე იენას სამგუნდა ტურნირში სათამაშოდ მიაშურა — იქაურ „კარლ ცაისს“ 1:0 მოუგო, შემდეგ „ერფურტს“ 1:1 ეთამაშა და ჰენალტების სერიაში დამარცხა — სირაძემ ზუსტად შასრულა 11-მეტრიანი.

მეორე ბუნდესლიგას აუე 13 აგვისტოს „უნტრეჰ ახინგთან“ მატჩით დაიწყებს, 4 აგვისტოს კი ერცგებირგეში პირველბუნდესლიგელ „ჰერტას“ გაეჯიბრება ამხანაგურად.

დავით თავართქილაძე

გოგიტა გოგუა ყაბარდოში საქებარს არ იკლებს

ქართული ლეგიონის ისერა უჭმეები

„იაში „შტუტგარტის“ სპეციალისტია“. — ასე ეწერა ერთ-ერთ გერმანულ ვებგვერდში. ლაპარაკია ალექსანდრე იაშვილზე, რომელმაც ამხანაგურ შეხვედრაში „შტუტგარტს“ გოლი გაუტანა, მისმა „ფრაიბურგმა“ კი 4:2 მოიგო. „აკუნაც“ და ოთარ ხიზანეიშვილიც შესვენების შემდეგ გამოჩნდნენ მინდორზე, როცა ანგარიში 3:2 იყო.

წინა დღეს კი „ფრაიბურგმა“ გერმანიის ერთ-ერთი ქვედალიგელი 6:0 გაანადგურა. მეექვსე გოლი ხიზანეიშვილმა გაიტანა თავით, იაშვილმა კი ორი საგოლე პასი მიითვალა — ჩვენიანებმა ისევ მეორე ტაიმი დაჰყვეს მოედანზე.

ჰოლანდიაში „ალკმაარმაც“ და „ტვენტემაც“ თითო მატჩი გამართეს, მაგრამ შოთა არველაძეს და გოგა გახოკიძეს არ უთამაშიათ — ორივეს ტრავმა აწუხებს. ისიც ვთქვათ, რომ „ტვენტემ“ ინტერტოტოს თასის მესამე ეტაპი გაიარა შვედურ „კალმართან“ და უეფას თასის ჯგუფურ ეტაპს მიუახლოვდა.

უთამაშებლად დარჩა მიხეილ ყაველაშვილი, რომლის „ბაზელმა“ შინ 3:0 გაანადგურა „შაფჰაუზენი“.

ყველაზე რიცხვმრავალ დესანტს კი ახლა მივადგეთ. რუსეთში პრემიერლიგის მეცამეტე ტური იყო და კვლავ დაფიცებულივით მოიგო გოგიტა გოგუასა და ალექსანდრე ჩიხრაძის ნალჩიკის „სპარტაკმა“ — ამჯერად ყაბარდოელებმა შინ ჰერმის „ამკარს“ 2:1 სძლიეს. ჩიხრაძემ სრულად ჩაატარა მატჩი, გოგუა კი 75-ე წუთზე შეცვალეს, მაგრამ ის უდავოდ საუკეთესო გახლდათ მინდორზე. გოგიტა ნალჩიკელთა ლამის ყველა შეტევის სული და გული იყო, მატჩის ონლაინ-რეპორტაჟში ყველაზე ხშირად მისი გვარია ნახსენები და სულ დადებითი

გოგიტა გოგუას ნალჩიკელები ჟინს ტყუილად არ უქებენ

შეფასებებით. მეორე გოლიც სწორედ ქართველი ნახევარმცველის ჩაწოდებული საჯარიმოს შემდეგ გაიტანა „სპარტაკმა“. ასე და ამგვარად, ჩიხრაძე-გოგუას გუნდმა მიჯერით მეხუთე შეხვედრა მოიგო და კვლავ თამდაა პრემიერლიგაში — სამი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ ცეესკას.

სწორედ ცეესკას ეთამაშებოდა დავით მუჯირის „კრილია“. სამარელები მოსკოვში ბოლო წუთებამდე იგებდნენ, მაგრამ ზედიზედ სამი მატჩია, უდროო დროს უშვებენ გოლს — 1:1. „მუმუ“ ძირითადში იყო და 89-ე წუთზე შეცვალეს, ჩვენიანმა ერთი-ორჯერ თავისებური ყუმბარები გაისროლა არმიელთა კარისკენ, მაგრამ უგოლოდ დარჩა. „კრილია“ მეექვსე ადგილზეა.

მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივი“ შინ მოულოდნელად 1:1-ით დაშორდა „ტომს“. მალხაზმა სრულად ითამაშა, დაცვის ცენტრში ირჯებოდა, თუმცა ბოლო წუთებზე შეტევას მიეძალა და გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ კარში დარტყმის ნაცვლად მცველის მოტყუება მოინდომა და მომენტიც გაუფუჭდა. „ლოკომოტივი“ მეოთხეა პრემიერლიგაში, თუმცა ცხრილის ზედა ნაწილში ისეთი სიმჭიდროვეა, ერთ ტურში შეიძლება, ვთქვათ, მეხუთედან მეორე ადგილზე ახტომა.

უკრაინის ჩემპიონატი პარასკევს კიევის „დინამო“ — ოდესის „ჩერნომორეცის“ თამაშით გაიხსნა, უქმეებზე კი სხვა ქართველებმაც დაიწყეს: უმაღლეს ლიგაში ბოლო წუთს დარჩენილი „კრივბასი“ სტუმრად 0:5 განადგურდა „შახტართან“, თუმცა თუკი „კრივბასიდან“ ვინმე ამწვავებდა თამაშს, ეს ვასილ გიგიაძე იყო — მან ოთხი საგოლე მომენტი შექმნა დონეცკელთა კართან. ვასომ 90 წუთი გაატარა მინდორზე, კრივიოროგელთა ახალწვეულმა ლადო ბურდულმა კი 65-ე წუთამდე ითამაშა.

ლაშა ჯაკობიამ და ჯაბა კანკავამ სრულად ითამაშეს კიევის „არსენალის“ შემადგენლობაში, „მეთოფეებმა“ კი სტუმრად 1:0 სძლიეს „ვორსკლას“. კანკავას არა, მაგრამ ჯაკობიას კი ჰქონდა ორი მომენტი, თუმცა ერთხელ მასპინძელთა მეკარემ აუღო, მეორედ კი ჩვენიანმა კარს ააცილა.

ასევე ორმა ქართველმა ითამაშა ზაპოროჟიეს „მეტალურგში“. დავით კვირკველიამ და ირაკლი მოდებაძემ 90-90 წუთი იბურთავეს ლვოვის „კარპატისთან“ (0:0), მოდებაძე ყველაზე აქტიური იყო თავისიანთა შორის, მაგრამ გოლი შემდგომისთვის „გადადო“...

ილია ნანოგაშვილი

მიკუჩაძე ახალს ელის

სიონმა კოკა ოლიმპიკს ათხოვა

წინა ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე კოკა მიკუჩაძე, როგორც ჩანს, ბოლნისის „სიონს“ დაშორდა. ყოველ შემთხვევაში, მას გუშინ გუნდთან ერთად არ უვარჯიშია. კლუბის ხელმძღვანელობის თქმით, მას „სიონთან“ ისეთი კონტრაქტი ჰქონდა, რომ გუნდის დატოვება სასურველ დროს შეეძლო, კოკამაც უცხოური კლუბებისგან რამდენიმე საინტერესო და მიმზიდველი წინადადება მიიღო და „სიონში“ დარჩენას არ ჩქარობს.

გუშინ კი, როცა „სიონი“ თბილისის „ლოკომოტივის“ ბაზაზე ვარჯიშობდა და სოფიის „ლევსკისთან“ ოთხშაბათის მატჩისთვის ემზადებოდა, კოკა მიკუჩაძე „მიხეილ მესხზე“ აზერბაიჯანულ „ოლიმპიკში“ თამაშობდა. „ოლიმპიკი“ თბილისში მოსამზადებლადაა ჩამოსული და პირველი საკონტროლო მატჩი თბილისის „ლოკომოტივთან“ გამართა. შეხვედრა 1:1 დამთავრდა.

— „ოლიმპიკი“ ერთერთია იმ გუნდებს შორის, რომლებიც კოკა მიკუჩაძის გადაბირებით არიან დაინტერესებულნი. ახლა, როცა ბოლნისელები სოფიის „ლევსკისთან“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის ემზადებიან, „ოლიმპიკმა“ გვთხოვა, რომ მათი გუნდის შემადგენლობაში ეთამაშა, მაგრამ ბოლნისელთა ინტერესები გავითვალისწინეთ, ფეხბურთელმა აზერბაიჯანელებთან ერთად სულ ერთი ტაიმი ითამაშა. ნუ იფიქრებთ, რომ კოკა მიკუჩაძის „ოლიმპიკში“ ტრანსფერი გადაწყვეტილია, თუმცა ეს კლუბი ამ ფეხბურთელის გადაბირების მსურველთა სიაში ერთ-ერთი მოწინავეა — გვითხრა გუშინ კოკა მიკუჩაძის აგენტმა აკა ტონიამ.

ჩვენ კი ისიც შევიტყვეთ, რომ ამ ფეხბურთელს ისრაელის გუნდი უკვე კონტრაქტზე ხელმოსაწერად ელის, მაგრამ ბოლოდროინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ისრაელში ტრანსფერი ცოტა უპერსპექტივო საქმედ ჩანს...

კოკა მიკუჩაძე კარიერას „სიონში“ გააგრძელებს თუ უცხოეთში, ეს დღე-დღეზე გადაწყდება.

ლუკა თალაკვაძე

გუშინ კოკა მიკუჩაძე ერთი ტაიმი ოლიმპიკელი იყო

ბაჩარა დოლიძეგაბაშვილის ფოტო

სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (აღმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

გამოვა? გამოვა!

ეროვნულ სტადიონზე ისეთი საშვილიშვილო საქმე კეთდება, ამ ამბავზე ყოველდღიურად თუ არა, კვირაში ორ-სამჯერ არ დაწერო, არ იქნება.

წინა კვირას ეროვნულ სტადიონზე ის გაკეთდა, რისი უვარგისობის გამოც მთლიანად სტადიონის რეკონსტრუქცია დაიწყო: ეროვნულზე ბალახი დაიგო — საგრძით 106, სიგანით კი 68 მეტრზე. ხოლო გუშინ ახალი ბალახის ახალი სარწყავი სისტემაც ამუშავდა.

— გაზონის მორწყვა ნაირნაირი მეთოდებითაა შესაძლებელი, მაგრამ როცა საქმეს აკეთებ, ეს კარგად და ხარისხიანად უნდა გააკეთო. ამიტომაც შემოთავაზებული სარწყავი სისტემებიდან, ვფიქრობთ, საუკეთესო ავარჩიეთ — ის მოწყობილობა, რომელიც ახლა ეროვნულზეა, პირველად ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის მასპინძელ სტადიონებზე დამონტაჟდა. თუმცა, ვიდრე ბალახის ინტენსიურ მორწყვას შევუდგებოდეთ, მოედნის დატკეპნაა საჭირო, ოთხშაბათს კი გაზონს პირველად გავკრეჭთ — გვითხრა „დინამო-ინვესტის“ თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა, ვინც გამუდმებით ამოწმებს საქმეს და უყურადღებოდ სტადიონის ერთ მისხალსაც არ ტოვებს.

... აქეთ მოდით, გახსოვთ ეს სათავსო? — მოედნიდან გასახდელებისკენ მიმავალ გვირაბში გაგვიძღვა ირაკლი მეძმარიაშვილი. გვახსოვდა! ის ალაგი წყლით იყო სავსე და თავის დროზე ამიტომაც ატყდა განგაში, სტადიონს გრუნტის წყალი შეუდგა და მალე თავზე დაგვენგრევაო. გუშინ რა ვნახეთ? გასუფთავებული, გამაგრებული და სხვადასხვა ინვენტარისთვის გამოსადეგი სწორედ ის სათავსო, რომლისაც სარეკონსტრუქციო სამუშაოებამდე ყველაზე მეტად გვეშინოდა.

ახლა იქით წამოდით — ირაკლი მეძმარიაშვილმა მსაჯთა და ფეხბურთელთა გასახდელებისკენ გაგვიყოლა. გზადაგზა კი ოთახების შეცვლილ მდებარეობაზე გვიყვებოდა: აქ ახლა მძლეოსანთა გასახდელი იქნება — მიგვითითა დელეგატთა ყოფილი ოთახისკენ — აქ კი სპორტსმენთათვის მცირე სამზარეულო კეთდება, აქამდე იქ საფეხბურთო მატჩების წინ გუნდების განაცხადებს ავსებდნენ-ხოლმე.

გზა განვაგრძეთ და ერთ უცხო კარსაც მივადექით. ყრუ კედელი იყო. ახლა ოთახია. დელეგატები ახლა იქ იმუშავებენ, ვფიქრობთ, რომ სათათბიროდაც შესაბამისი ფართობია. მერე ფეხბურთელთა და მსაჯთა გასახდელებიც ვნახეთ. ალბათ ორი დღის სამუშაოები, ავეჯი და იქაურობა უკვე საბოლოო სახეს მიიღებს. სხვათა შორის, ფიფას რეკომენდაციით, ცალკეა მოწყობილი ქალ მსაჯთა გასახდელიც — საერთაშორისო მატჩებზე ფიფამ თუ უეფამ შესაძლოა, ორი კაცი და ორი ქალი მსაჯი გამოაგზავნონ. ჩვენ ყველაფერს ვითვალისწინებთ, გვსურს, საერთაშორისო სტანდარტებს ხუთიანზე ვუპასუხოთ — ამბობს ირაკლი მეძმარიაშვილი.

შემდეგ ვნახეთ მძლეოსანთათვის გათვალისწინებული მეორე გასახდელიც და საუნა — სპორტსმენებს დასვენება და ენერგიის აღდგენა სჭირდებათ — გვეუბნება მეგზური — გასახდელებისკენ მიმავალი გზა კი ჟურნალისტებისთვის აღარ იქნება. აი, კიბე, საიდანაც მწვრთნელები ამოვლენ პრესკონფერენციაზე — დახვეული კიბისკენ მიგვითითა მან და ჩვენც გაოცებულნი დაგვტოვა, წარმოდგენა გაგვიჭირდა, რომ ამ ადგილიდან მეორე სართულზე ასვლა შესაძლებელი იქნებოდა.

— აქ 160-კაციანი საკონფერენციო ოთახი, „დინამოს“ მუზეუმი და კაფე იქნება — განაგრძობს ირაკლი მეძმარიაშვილი და საფეხურებს მივყვებით.

წუთიც და ისევ ტრიბუნაზე ვიყავით.

— ტაბლო? — უნებურად ვიკითხეთ და ხელი სამხრეთ ტრიბუნისკენ გაგვექცა.

— იქ ვიდეოტაბლოს ჩავდგამთ, ეკრანზე მიმდინარე მოვლენის პირდაპირი გამოსახულება იქნება, ხოლო ჩრდილოეთის მხარის ტაბლოს ჯერჯერობთ ხელს არ ვახლებთ, როგორიც არის, ისეთი დარჩება. ევროპის 2008 წლის ჩემპიონატისთვის ქომაგობას აქ დავპატიჟებთ ორ უზარმაზარ ეკრანზე თამაშების სანახავად. იმედი მაქვს, იმ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს... მგონი, რომ კარგი სტადიონი გამოვა, არა — ბოლოს აქეთ გვკითხა ბატონმა ირაკლიმ.

— ვფიქრობთ, ძალიან კარგი გამოვა — ვუპასუხეთ.

2 სექტემბერს ჩვენი მთავარი სარბიელის სიკარგეში თავად დარწმუნდებით.



ძოგა ინასარიძე

ბადრი ძეთილაძის ფოტოები



ფიდელ კასტრო: პატივცემული ზინედინ!

ზიდანს რაღა უჭირს, ქომაგად და დამცველად თვით ფიდელ კასტრო მოევლინა. მსოფლიოს რევოლუციის ლიდერი (ამასთანავე ბეისბოლის ძველი მოტრფიალეც) სპორტთან კავშირს არ წყვეტს, საფეხბურთო მუნდიალის ფინალიც ბოლომდე უნახავს და თავის აზრი გამოუთქვამს: „ძალიან კარგად ვნახე, ზიდანს და მატერაცის შორის რაც მოხდა. ვიცი, რომ ფიფამ ალჟირელი დააჯარიმა, რაც, ჩემი აზრით, უსამართლობაა... საშინლად უნდა გაგამწაროს კაცმა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში თავური რომ ლეწო... დარწმუნებული ვარ, მატერაციმ მის ოჯახს შეურაცხყოფა მიაყენა, რაც ზიდანისთვის აუტანელი იყო. დიდ პატივს ვცემ ამ სპორტსმენს, რომელიც წარმოშობით ალჟირიდან, ყოფილი კოლონიიდანაა“ — განაცხადა კომუნისტური კუბის თავკაცმა.

ფიდელ ალეხანდრო კასტრო რუსს 13 აგვისტოს 80 წელი უსრულდება. თავის დროზე „ამერიკის იმპერიალიზმის დამქაშებს“ ცეცხლით და მახვილით ებრძოდა, ახლა კი ყოფილი კოლონიის მკვიდრ ზიდანს იცავს.

ლადო ხომერიკი

გოლიანი და უგოლო ამხანაგობა

„რომას“ და „ფიორენტინას“ მწვრთნელები: ლუჩანო სპალეტი და ჩეზარე პრანდელი

იტალიურმა „რომამ“ და „ფიორენტინამ“ ამხანაგური მატჩები ჩაატარეს. დედაქალაქელებმა ლიეჟის „სტანდარტს“ სძლიეს 3:0, ფლორენციელებმა კი ვერაფერი მოუხერხეს პატარა „ჩიტადელას“ და უგოლოდ გაეყარნენ.

„რომამ“ ბელგიელების წინააღმდეგ ფილიპ მექსეშის, ვინჩენცო მონტელასა და ალექსანდერ დონის გარეშე ითამაშა. ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა „ვალორიოსიმ“ „სტანდარტს“ სამივე გოლი მეორე ტაიმში, ცამეტწუთიან მონაკვეთში გაუტანა. თავი ალესიო ჩერჩილ, ალესანდრო როსიმ და ალესანდრო ცელიმ გამოიჩინეს. დედაქალაქელები ოთხშაბათამდე დაისვენებენ და მერე „ტრიგორიას“ საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშებს განაახლებენ.

როგორც ჩანს, სერია B-ში დაქვეითებამ „ფიორენტინაზე“ დიდი გავლენა მოახდინა, რადგან ფლორენციელებმა „ჩიტადელას“ კინკილა გოლიც ვერ გაუტანეს. მართალია, არც გაუშვეს, მაგრამ ეს დიდი ვერაფრი შეღავათია. თუმცა „იების“ თავკაცი ჩეზარე პრანდელი მაინც კმაყოფილი დარჩა, ეს, უბრალოდ, ამხანაგური მატჩი იყო და შედეგზე ყურადღებას ნუ გავამახვილებთო.

„ორკვირიანი დატვირთული ვარჯიშის შემდეგ კარგად გამოვიყურებოდით. დაცვა მშვენივრად მოძრაობდა საკმაოდ კარგად ორგანიზებული მეტოქის წინააღმდეგ“ — აღნიშნა პრანდელიმ.

ბარემ ამ კლუბების სატრანსფერო ამბებზეც ვთქვათ ორი სიტყვა. „რომას“ სერია A-ში არაერთი წლის მანძილზე ნათამაშები ფრანსელინო მათუზალემის ყიდვა უნდოდა, მაგრამ ამ საქმიდან, ალბათ, აღარაფერი გამოვა. 26 წლის ბრაზილიელთან განშორებას მისი ამჟამინდელი კლუბი, დონეცკის „შახტარი“ არ აპირებს.

„რომას“ მოსწონს მათუზალემი, მაგრამ, „შახტარის“ თქმით, იგი ხელშეუხებელია. იტალიელებს წინადადებაც აღარ გაუკეთებიათ და ამას, ალბათ, აზრიც არ აქვს. დონეცკელებს ფინანსური პრობლემები არ აწუხებთ და, სავარუდოდ, ვერც სარფიანი შეთავაზებით მოიხიბლებიან“ — თქვა ფეხბურთელის აგენტმა ფილიპო ფუსკომ.

„ფიორენტინა“ კი მაქსიმალურად ცდილობს წამყვანი მოთამაშეების შენარჩუნებას და ერთ-ერთი ასეთი 28 წლის ტომას უიფალუშია, რომელიც, ალბათ, „იებს“ სერია B-შიც არ მიატოვებს. ჩეხი მცველის აგენტ პაველ პაშკას თქმით, „არტემიო ფრანკიზე“ დარჩენა მის კლიენტსაც ძალიან სურს.

„ტომაშს ძალიან უნდა ფლორენციაში დარჩენა. იგი აქ ბედნიერია და უყვარს, როგორც ქალაქი, ასევე კლუბი. მას არც სერია B-ში თამაში აშინებს. ასე რომ, დარწმუნებული ვარ, უიფალუში გუნდში რჩება“ — განაცხადა პაშკამ.

კოკი კანდელაკი

კანავარო გემზე არ ლაპარაკობს

ფაბიო კანავარო

მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებული სკანდალით ყველაზე მეტად დაზარალებულმა და ვარსკვლავებისგან დაცლილმა ტურინის „იუვენტუსმა“ გასული სეზონის დასრულების მერე პირველი მატჩი ჩაატარა. ბებერი ქალბატონი“ ახალგაზრდა ფეხბურთელებით ეთამაშა „ალესანდრიას“ და 8:0 გაანადგურა. ეს საღებიუტო თამაში გახლდათ გუნდის ახალ მწვრთნელ დიდიე დეშანისთვის.

აღსანიშნავია, რომ ტურინელებმა პირველი ტაიმი მხოლოდ 1:0 მოიგეს, მაგრამ მეორეში გაილაღეს. ჰეთ თრიქი შეასრულა „იუვეს“ ერთ-ერთმა მთავარმა იმედმა რაფაელე პალადინომ. მატეო პარომ, ოლივიე კაჰომ და ტომას გუზმანმა თითო ბურთი მიითვალეს, ხოლო ორი გოლი „ალესანდრიამ“ საკუთარ კარში შეაგდო.

„თამაშის განახლება ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო. გუნდი ახლა გადახალისებულია და შეთამაშება გვჭირდება. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. ახალ მწვრთნელ დიდიე დეშანსაც მშვენივრად ვუგებთ და ველოდებით, როცა არდადეგებიდან სხვებიც დაბრუნდებიან და ვარჯიშს სრული შემადგენლობით გავაგრძელებთ. მათ, ვინც „იუვე“ დატოვა, ყველამ უნდა გაუგოს. გვახსოვდეს, რომ სანამ ისინი კლუბში იყვნენ, მის საკეთილდღეოდ თავს არ ზოგავდნენ. სერია B-ში კი მაქსიმალური შემართება და გამარჯვების წყურვილი გვჭირდება“ — განაცხადა „ბებერი ქალბატონის“ მცველმა ჯორჯო კიელინიმ.

დიდიე დეშანი: „ბევრი წამყვანი მოთამაშე წავიდა, მაგრამ, იმედია, რამდენიმე დარჩება. თუ ვინ, ზუსტად ახლა ამის თქმა ძნელია. კლუბი ყველაფერს აკეთებს მათ შესანარჩუნებლად, მაგრამ მოთამაშეებსაც უნდა გავუგოთ. „იუვენტუსი“ სერია A-ში და B-ში სხვადასხვა რამ რომ არის, თავადაც გესმით. მაგალითად, ბუფონი რჩება, ამაში 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რადგან თვითონ მითხრა. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ არც რობერტ კოვაჩი წავა. რაც შეეხება დავიდ ტრეზეგეს, იმედია, მასაც შევინარჩუნებთ. ახლა იგი დასასვენებლადაა და როდესაც დაბრუნდება, ყველაფერი გადაწყდება. ეს ეხება ზლატან იბრაჰიმოვიჩსაც. მე აქცენტს სამ ახალ ფეხბურთელზე ვაკეთებ — ვალერი ბოჟინოვზე, მარკო მარკიონისა და კრისტიანო ძანეტიზე. გვყავს პარო, მირანტე, პალადინო და სხვა ახალგაზრდები, რომლებსაც უკვე სერია A-ში უთამაშიათ. არა მგონია, მომავალი სეზონის დაწყებამდე რამე განსაკუთრებული მოხდეს. მაქსიმუმ 3-4 მოთამაშე დავიმატოთ.“

ფრანგი სპეციალისტის მიერ ნახსენები მოთამაშეებიდან ერთ-ერთი, შესაძლოა, გაელ გივე გამოდგეს. „მონაკოს“ ყოფილი თავკაცი თავის ძველ შეგირდს კარგად იცნობს და 25 წლის მცველი ფაბიო კანავაროს შემცვლელად წარმოუდგენია.

ამბობენ, „იუვენტუსი“ გივეში „მონაკოს“ 8-9 მილიონ ევროს შესთავაზებსო. თუმცა, რამდენად დაკმაყოფილებთ ეს თანხა „ლუი მეორის“ ბინადრებს, ჯერ უცნობია. გივეს კლუბთან მოქმედი კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს, ამიტომ ფრანგებმა, შესაძლოა, მეტი მოითხოვონ.

„ძალიან მინდოდა, კანავარო შეგვენარჩუნებინა და კლუბმა ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ გამოდგა. ფაბიოს დატოვება მხოლოდ იმის გამო არ მინდოდა, რასაც იგი მინდორზე აკეთებს, მე მისი ლიდერობის ნიჭი და შემართებაც გამომადგებოდა. თუმცა უკან ყურების დრო არ არის, მომავალზე უნდა ვიფიქრო“ — დასძინა დეშანმა.

თავის მხრივ, განცხადება გააკეთა კანავარომ და ახსნა, თუ რატომ დატოვა ტურინი. „რეალში“ გადასული მცველის თქმით, ეს არ იყო ჩასაძირად განწირული გემიდან გაქცევა.

„მე გემიდან არ გადმოვმხტარვარ. სამწუხაროდ, წასვლა მომიხდა. კლუბიც გაგებით მოეკიდა ჩემს გადაწყვეტილებას. ვფიქრობ, ეს ყველასთვის უკეთესი იყო. 33 წლის ვარ და ტიტულების შოგება ჯერ კიდევ შემიძლია. „იუვენტუსიდანაც“ სწორედ, ამიტომ წამოვედი, თორემ ეს სიტუაცია რომ არა, ამას არასოდეს გავაკეთებდი. გუნდმა ყველა პირობა შემიქმნა. იქ რამდენიმე ბრწყინვალე წელი გავატარე. მე და ჩემი ოჯახი ტურინში თავს კარგად ვგრძნობდით, ფანებიც ბრწყინვალენი იყვნენ, რომლებსაც მინდა, კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა მხარდაჭერისთვის. მეორე მხრივ, „რეალის“ მაისურის ტარება დიდი პატივი იქნება. მიხარია, რომ ამ ასაკში მაღალ დონეზე თამაში ისევ შემიძლია და ჩემით ასეთი დონის გუნდი დაინტერესდა. პრიმერადივიზიონთან შესაგუებლად, ალბათ, ცოტა დრო დამჭირდება, მაგრამ, ვფიქრობ, ამას შევძლებ“ — თქვა„სკუადრა აძურას“ კაპიტანმა.

პარალელურად კი დაიწყო „იუვენტუსის“, „მილანის“, „ლაციოსა“ და „ფიორენტინას“ აპელაციების განხილვა, რომელთა პასუხი და საბოლოო ვერდიქტი 25 ივლისს იქნება ცნობილი. „ბებერი ქალბატონის“ ადვოკატები ძალიან იმედიანად არიან და ირწმუნებიან, სასჯელი უნდა შეგვიმსუბუქდესო.

გიორგი ძაძაგაძე

ვილაპარაკოთ კაკაზე



პრეზიდენტები კუნძულს შემოუსხდებიან

რამონ კალდერონი ცხრა მთასა და ცხრა ზღვას გადალახავს, ოღონდაც კი „რეალში“ მისი მთავარი საარჩევნო დანაპირები, ბრაზილიელი კაკა მიიყვანოს. სამყაროს დასალიერში არა, მაგრამ სამეფო გუნდის პრეზიდენტი უახლოეს 2-3 დღეში კუნძულ სარდინიაზე, კალა დი ვოლპეს ვილაზე მისვლას გეგმავს, სადაც „მილანის“ პატრონ ბერლუსკონისთან კაკას მადრიდში გადაბარგების დეტალებს დააზუსტებენ. „ასის“ ცნობით, კალდერონი და ბერლუსკონი ერთმანეთს ტელეფონით რამდენჯერმე ესაუბრნენ და იტალიელსაც „მილანის“ ვარსკვლავის გაცემაზე გადაჭრით უარი არ უთქვამს. მით უმეტეს, რომ თავად კაკა „ბერნაბეუზე“ კარიერის გაგრძელების დიდ სურვილს გამოთქვამს.

ვინც სასტიკ უარზეა და მედიასთან ყველა შეხვედრაში კაკას „სან სიროზე“ დარჩენას თავგამოდებით ამტკიცებს, არიედო ბრაიდაა, „როსონერის“ გენერალური დირექტორი. თუმცა ფეხბურთელის მამა ბორკო ლეიტე და დიოგო კოჩო სულ სხვას ამბობენ. მათი თქმით, ფეხბურთელს ერთი სული აქვს მადრიდში გადაბარგებამდე. „მილანსაც“, ალბათ, კაკას სურვილის გათვალისწინება მოუწევს, ისევე, როგორც თავის დროზე, შევჩენკოსთან დაკავშირებით მოხდა. უკრაინელმა ხომ მაშინ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — გინდათ თუ არა, მაინც „ჩელსიში“ უნდა გადავიდეო...

ორ გიგანტ კლუბს შორის გარიგებას ფინანსები ხელს ნამდვილად არ შეუშლის. „რეალი“ მაზადაა, იტალიელებს კაკას სანაცვლოდ 60 მილიონი ევრო დაუყოვნებლივ გადაუხადოს. ორი კვირის წინ თქვა ბერლუსკონიმ, კაკა ტრანსფერგარეშეა, მაგრამ, თუ „რეალმა“ 50 მილიონზე მეტი გაიმეტა, საქმეს სხვანაირად შევხედავთო... აკი იმეტებს კიდეც. შეგახსენებთ, რომ სამეფო თეთრებმა ამაზე გულუხვად კლუბის არსებობის ისტორიაში, მარტო 2001 წლის 9 ივლისს გაიკრეს ჯიბეზე ხელი. მაშინ ზინედინ ზიდანი წაიყვანეს „იუვენტუსიდან“.

თუ სენიორ კლალდერონმა თავისი სანუკვარი ტრანსფერი განახორციელა, კაკა რიგით მეთვრამეტე ბრაზილიელი იქნება მადრიდული კლუბისთვის. პირველად ბრაზილიელებიდან „რეალში“ გუდიჩელი მოვიდა, ოღონდ 1935 წელს მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა... შემდეგ იყვნენ დიდი (ის, ხმელი ფოთოლი, რომ მოიგონა) კანარიო, ევარისტო, რიკარდო როჩა, ვიტორი, ზე რობერტო, რობერტო კარლოსი, სავიო, როდრიგო, ჟულიო სეზარი, ფლავიო კონსეისაო, რონალდო, ჟულიო ბაპტისტა, რობინიო, სისინიო და ბოლოს ემერსონი. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, სარდინიაში პატივცემული ბერლუსკონი კაბალიერო კალდერონს რას ეტყვის...

ლადო ხომერიკი

დაფი გაჯორდდა

ირლანდიელი შემტევი ნახევარმცველი დემიენ დაფი „ნიუკასლში“ გადავიდა. სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ 27 წლის ფეხბურთელმა „სენტ ჯეიმს პარკის“ ბინადრებთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. რა თანხა მიიღო „ჩელსიმ“ უცნობია, თუმცა ბრიტანული პრესის ცნობით, საუბარია 10 მილიონ გირვანქაზე.

„ვერც კი გადმოვცემ, რა გახარებული ვარ მისი მოსვლით. იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია და, ვფიქრობ, ფანებსაც ძალიან უხარიათ. ადრე, როცა „ნიუკასლში“ ვთამაშობდი, კრის უოდლი გვყავდა, რომელსაც ბურთის ფლობა, მეტოქეების მოტყუება და სახიფათო ჩაწოდებების გაკეთება შეეძლო. ხალხს ამ სტილის მოთამაშეები ძალიან უყვარს და დემიენი სწორედ ასეთია. ახლა თითქმის ყელა ის ფეხბურთელი გვყავს ვინც გვსურდა და შეგვიძლია, მომავალი სეზონისთვის მზადებას სრულფასოვნად შევუდგეთ“ — განაცხადა „ჯორდების“ მთავარმა მწვრთნელმა გლენ რიოდერმა.

დაფი „ჩელსიში“ 2003 წელს „ბლექბერნიდან“ 17 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ გადავიდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც გახლდათ. თუმცა ბოლო პერიოდში ლონდონელთა რიგებში გაზრდილი კონკურენციის გამო ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა სულ უფრო და უფრო უჭირდა. მის გარდა, „ჩელსის“ ჯო კოული, შონ რაიტი ფილპსი და არიენ რობენი ჰყავს, ხოლო მიხაელ ბალაკის ყიდვის მერე ირლანდიელის შანსები უფრო შემცირდა და მანაც წასვლა არჩია.

„მომწონს დემიენი, როგორც ფეხბურთელი და ადამიანი. რამდენიმე საათი ვილაპარაკეთ და მე მას გავუგე. ცუდია, როცა ასეთი მოთამაშის გაშვება გიწევს, მაგრამ მისთვისვე აჯობებს, რეგულარულად ძირითადში იყოს, რასაც, დარწმუნებული ვარ, თავის ახალ კლუბში შეძლებს“ — თქვა რამდენიმე დღის წინ ჟოზე მაურინიუმ, „ჩელსის“ მწვრთნელმა.

ირლანდიელის ხელში ჩაგდება „ტოტენჰემსა“ და „ლივერპულსაც“ სურდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, „ნიუკასლის“ წინადადება ფინანსურად უფრო მომგებიანი იყო.

გიორგი ძაძაბაძე

ვალენსიამ ასიმრ დელ ორნო მოაგვარა

დელ ორნოს და „ვალენსიას“ დოსტობის ამბავი საბოლოოდ გადაწყდა. „ჩელსის“ მცველი მომავალი 6 სეზონის განმავლობაში „მესტალიაზე“ ითამაშებს. ბასკის „ლამურებთან“ მისვლა დროულია — იქაურთა ერთი უკანახაზელი ფაბიო აურელიო „ლივერპულში“ გადავიდა, ხოლო მეორემ ბუცები ჰალსტუხზე გაცვალა — ამადეო კარბონი „ვალენსიას“ სპორტული დირექტორი გახდა და მისი დამსახურებაა, დღეს ასიერ დელ ორნოს ოფიციალურად რომ წარადგენენ ესპანური გუნდის ფეხბურთელად.

ბასკის „ვალენსიაში“ გადასვლის ამბავი ადრეც გაცნობეთ, ოღონდ მას შემდეგ კონტრაქტის ფინანსურ მხარესთან დაკავშირებით რაღაც პრობლემები შეიქმნა და კინაღამ მიღწეული შეთანხმებაც ჩაიშალა. თუმცა „ჩელსის“ და „ვალენსიას“ წარმომადგენლებმა პარასკევს გვიან ღამით ყველაფერი მოაგვარეს და ექსბილბაოელი ფეხბურთელი 7,5 მილიონი ევროს ფასად დაბრუნდა ესპანურ პრიმერადივიზიონში. წლიურ ანაზღაურებად კი „მესტალიას“ ახალ უკანახაზელს 1,8 მილიონი ევრო ექნება.

ასიერ დელ ორნოსთან ერთად ფერნანდო მორიენტესსაც წარადგენენ „ვალენსიას“ ფეხბურთელად. „ელ მოროს“ პრეზენტაცია ადრევე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვალენსიას მეტროში მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ შეუშალა ხელი. 43 კაცი დაიღუპა და ფეხბურთისთვის სად ეცალათ.

ლადო ხომერიკი

ინსუა შემოწმებულია

„ბოკა ხუნიორსის“ ნახევარმცველ ფედერიკო ინსუას ერთი ნაბიჯიღა უკლია მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ გადასვლამდე. არგენტინელმა სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა.

ნიჭიერი ფეხბურთელის გადაბირება ბუნდესლიგურ კლუბებს შარშან ზაფხულშიც სურდათ, მაგრამ ვის ეკუთვნოდა სატრანსფერო უფლება ვერ გაარკვიეს.

26 წლის ნახევარმცველი ბორუსიელ თანაგუნდელებთან ერთად უკვე ვარჯიშობს, მიუხედავად იმისა, რომ კლუბებს შორის კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა.

„მოლაპარაკებას ვაგრძელებთ, მაგრამ, ვიმედოვნებთ, რომ კონტრაქტი შედგება“ — თქვა გლადბახელთა სპორტულმა დირექტორმა პეტერ პანდერმა.

გუნდის მწვრთნელ იუპ ჰანკერსის აზრით, ფედერიკო ინსუა ზუსტად ის ფეხბურთელია, რომელიც ნახევარდაცვაში თამაშს დაალაგებს.

„ფანებს ვპირდები, რომ ინსუა გუნდს გააძლიერებს, ოღონდ მთელ პასუხისმგებლობას მას ნუ ავკიდებთ“ — აღნიშნა ჰაინკესმა.

ირაკლი ნინიძე



ხუან ლაპორტა

ციდან უფრო კარგად ჩანს

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება რეალურ სამყაროში

სანდრო როსელი — კაცი, რომლისაც „ბარსელონას“ პრეზიდენტ ხუან ლაპორტას საპრეზიდენტო არჩევნებისას ყველაზე მეტად უნდა ეშინოდეს. როგორც „ელ მუნდო დეპორტივოში“, „სპორტსა“ და სხვა კატალონიურ გაზეთებში ვკითხულობთ, სწორედ „ბარსას“ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტია ის ადამიანი, რომელიც „კამპ ნოუს“ ძლევამოსილი და ახალგაზრდა პრეზიდენტის სავარძლის მორყევას შეძლებს... „ლაპორტა საზოგადოებისთვის უკვე ცნობილ პრეზიდენტობის კანდიდატებს, ხორდი მახოს, ხოსეპ მარია მინგელას და ხორდი მედინას ნაკლებად აქცევს ყურადღებას. მან მშვენივრად იცის, რომ მთავარი საშიშროება სანდრო როსელისგან მოდის“ — გვამცნობს გუშინდელი „ელ მუნდო დეპორტივო“.

სანდრო როსელი თავის დროზე ხუან ლაპორტას მარჯვენა ხელი იყო და 2003-ში ახალი, ძლიერი „ბარსელონას“ შექმნას ზუსტად ამ ორმა კაცმა ჩაუყარა საფუძველი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რონალდინიო, დეკუ, ბელეტი და მარკესი „კამპ ნოუზე“ უშუალოდ მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა როსელმა მიიყვანა. თუმცა შემდეგ კლუბის თავკაცებს ერთმანეთში უთანხმოება მოუვიდათ და სანდრო როსელმაც გახული წლის ივნისში თანამდებობა დატოვა. ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს ეკუთვნის წიგნი სახელწოდებით — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება რეალურ სამყაროში“, სადაც როსელის, ხუან ლაპორტას დიქტატორული პოლიტიკა აქვს აღწერილი.

კლუბში გაწევრიანებული ინჩადის ანუ ამომრჩევლების დიდი ნაწილი დღესაც როსელის მხადრამჭერია, თუმცა...

არსებობს ერთი დიდი დაბრკოლება, რასაც ლაპორტას მოწინააღმდეგე ძალები გვერდს ვერაფრით უვლიან — სენიორ როსელი თავად არ აპირებს არჩევნებში კანდიდატურის წარდგენას. როგორც „ბარსას“ ექსჩინოსანმა მედიასთან თქვა, მისი სურვილი დღევანდელი დირექტორატის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ რომელიმე კანდიდატთან თანამშრომლობაა და არა უშუალოდ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა. ლაპორტას ოპოზიცია კი ანუ TRIPLE M (მახო, მინგელა, მედინა) ძალიან მხდალი გამოდგა — თურმე საპრეზიდენტო რბოლიდან ნებაყოფლობით აპირებენ გამოთიშვას, ხალხი ნაკლებად გეგნდობა და არჩევნები ჩვენთვის სრული კრახით დასრულდებაო... არავინ იცის, 10 სექტემბერს რა მოხდება, იმ დღეს, როცა „ბარსას“ ახალი თავკაცი უნდა აირჩიონ.

ბატონი სანდრო როსელი კი მშვენივრად ერთობა დიდი შესლა-შეძახლის წინ — ეს თავგადასავლების მოყვარული კაცი პარასკევს PICA D ESTAT-ზე (მწვერვალი კატალონიაში, 3 143 მეტრი ზღვის დონიდან) ასულა. ალბათ, „ბარსას“ მომავალი უკეთესად რომ დაენახა, იმიტომ...

ლადო ხომერიკი

ეტოო ისტორიაში

სამუელ ეტოო ერთადერთი ფეხბურთელია „ბარსელონას“ ისტორიაში, რომელმაც „კამპ ნოუზე“ თამაშის პირველ ორ სეზონში 62 გოლის გატანა შეძლო. მეტოქეთა ამკლებმა კამერუნელმა კატალონიელთა ისეთი მეგოლეები ჩამოიტოვა უკან, როგორიც რივალდო და კუბალა არიან.

აფრიკელს კოჭებში ეტყობოდა, „ბარსაში“ საქმის საკეთებლად რომ იყო მოსული. ეტოომ თავის წინა კლუბ „მალიორკაში“ ხუთსეზონიანი მოღვაწეობისას (1999-2004) 70 გოლი შეაგდო და ამით კუნძულელთა გუნდის ისტორიული მთავარმეგოლე გახდა, „ბარსელონაში“ კი სულ ორი სეზონია, რაც გამოდის და უკვე 62-ის გატანა მოასწრო...

ეტოომ რივალდოს დაათმობინა პირველი ადგილი. ბრაზილიელს 1997-98 და 1998-99-ის სეზონებში 57 გაეტანა (28 პირველ და 29 მეორე სეზონში). ისე, „რივოს“ 57, „ბარსას“ ერთ-ერთ შესანიშნავ პერიოდს ემთხვევა, როცა კატალონიელებმა ორჯერ ზედიზედ პრიმერას ჩემპიონობა, ევროპის სუპერთასი და ესპანური კოპა დელ რეი მოიგეს. აფრიკელმა კი 21-ე საუკუნეში „ბარელონას“ ასევე ორჯერ გაჩემპიონებასა და ჩემპიონთა თასის მონადირებაში შეიტანა წვლილი.

სამუელმა რივალდო 5 გოლით „დაამარცხა“. თან ბრაზილიელი მეტოქის მეკარეებს ხშირ შემთხვევაში (როგორც საჯარიმოების დიდოსტატი) სტანდარტული მდგომარეობებიდან აწიოკებდა, ეტოომ კი თითქმის ყველა გოლი თამაშიდან შეაგდო.

პირველ ორ სეზონში ასე თავის გამოჩენა ვერც კატალონიელთა ძველმა ლეგენდებმა, სეზარმა და კუბალამ შეძლეს. კუბალამ 51 გოლი გაიტანა, სეზარმა კი — 29. საერთოდ კი, „ბარსას“ ფორმით სეზარმა 235 ბურთი შეაგდო, ხოლო კუბალამ — 196.

თანამედროვე პერიოდის ვარსკვლავთაგან პატრიკ კლუივერტი უნდა ვახსენოთ. ჰოლანდიელმა თავის პირველ ორ კამპანიაში 41 გოლი გაიტანა, ანუ ეტოოზე 21-ით ნაკლები.

კამერუნელმა თავისი რეკორდული საგოლე მარაგი შემდეგნაირად შეავსო — პრიმერადივიზიონში 50 ბურთი გაიტანა, ჩემპიონთა ლიგაში — 10, ესპანეთის სუპერთასზე კი — 2.

ლადო ხომერიკი

11 წლის ბერხკამპი გააცილეს

ლონდონის „არსენალის“ ახალ, 60-ათასიან სტადიონზე დენის ბერხკამპის გამოსათხოვარი მატჩი გაიმართა. „ემირატებზე“, რომელსაც სხვანაირად „ეშბარტონ გროუვს“ ეძახიან, 54 ათასი კაცი შეკრიბა „არსენალ“ — „აიაქსის“ თამაშის სანახავად. მოგეხსენებათ, ბერხკამპმა კარიერა „აიაქსში“ დაიწყო და გმოსათხოვარ მატჩზე ამიტომაც დაპატიჟეს ამსტერდამული კლუბი.

„არსენალის“ შემადგენლობაში ითამაშეს პატრიკ ვიეირამ, იან რაიტმა, ლი დიქსონმა, ნავანკო კანუმ და სხვებმა, ხოლო მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა. 37-ე წუთზე აიაქსელები კლაას იან ჰუნტელაარმა დააწინაურა, მაგრამ მეორე ტაიმში ანრიმ და კანუმ თითო-თითო შეაგდეს და ბერხკამპი მოგებით გააცილეს.

შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელმა „შეთოფეთა“ რიგებში 11 სეზონი გაატარა. იგი „არსენალში“ „ინტერიდან“ 1995 წელს 7 მილიონ გირვანქის სანაცვლოდ გადავიდა. ბერხკამს გული არ მიუვიდა იტალიურ ფეხბურთზე და ამიტომაც გადაბარგდა პრემიერლიგაში, სადაც გაილაღა.

„ადრე, როცა „ჰაიბერიზე“ ვთამაშობდი, მეგონა, რომ მასზე უკეთესი სტადიონი არ არსებობს, მაგრამ „ემირატებმა“ აშკარად აჯობა“ — განაცხადა ჰოლანდიელმა, ვისაც „არსენალის“ მაისურით 423 მატჩი უთამაშია და 120 გოლი გაუტანია.

ბოლოს კი შეგახსენებთ უნდა ვთქვათ, რომ ბერხკამპს კლაუსტროფობია აწუხებდა და თუ გუნდი თვითმფრინავით მიემგზავრებოდა, არ მიჰყვებოდა.



გიორგი დარჯანია

ინტერტოტოს თასი 2006

III ეტაპი. საპასუხო მატჩები

22 ივლისი

ტვენტე (ჰოლანდია) 3:1 **კალმარი** (შვედეთი) (0:1)
ჰიბერნიანი (შოტლანდია) 2:1 *ოდენსე (დანია)* (0:1)
ლილესტრიომი (ნორვეგია) 0:3 *ნიუკასლი (ინგლისი)* (1:1)
ეთნიკოსი (კვიპროსი) 2:3 **მაკაბი** (ფეთაჰ თიკვა, ისრაელი) (2:0)
ქაისერისფორი (თურქეთი) 2:0 **ლარისა** (საბერძნეთი) (0:0)
მოსკვა (რუსეთი) 0:2 *ჰერტა (გერმანია)* (0:0)
დნიპრო (უკრაინა) 2:2 *მარსელი (საფრანგეთი)* (0:0)
ფარული (რუმინეთი) 1:0 *ოსერი (საფრანგეთი)* (1:4)
ტირასპოლი (მოლდოვა) 1:1 *რიდი (ავსტრია)* (1:3)
გენტი (ბელგია) 1:1 *გრასჰოპერი (შვეიცარია)* (1:2)
მარიბორი (სლოვენია) 1:1 **ვილიარეალი** (ესპანეთი) (2:1)

ნიუკასლელები შოლა ამეობის (მარჯვნივ) გოლს ულოცავენ

შოლა ამეობის ორი ტრავმიანი

სლოვენიურმა „მარიბორმა“ პირველ მატჩში დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა და ჩემპიონთა ლიგის გასული სეზონის ნახევარფინალისტ „ვილიარეალს“ სირცხვილი აჭამა. ესპანელებმა თამაში სულაც რვა კაცით დაასრულეს.

ესპანელებს საკუთარ „ელ მადრიგალზე“ 1:2 ჰქონდათ წაგებული და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასასვლელად სულ მცირე, ორი გოლი სჭირდებოდათ. მანუელ პელეგრინის შეგირდებმა ამაზე ზრუნვა თავიდანვე დაიწყეს, მაგრამ პირველ ტაიმში ბევრი არაფერი გამოუვიდათ.

მეორე ტაიმში კი „ყვითლებმა“ „მარიბორი“ საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს და, სლოვენიელთა ერთიორ სახიფათო კონტრიერიშს თუ არ ჩავთვლით, სრულ უპირატესობას ფლობდნენ. გოლი კი არ ჩანდა. მასპინძელთა დაცვა და მეკარე ჩინებულად ირჯებოდნენ. მე-80 წუთზე ალესიო ტაკინარდიმ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მინდორი დატოვა, მაგრამ „ვილიარეალი“ ათი კაცითაც აგრძელებდა შეტევას და 85-ე წუთზე მიზანსაც მიაღწია, გუნდის ახალწვეულმა ნიჰათ კავეჩიმ 20 მეტრიდან შეაგდო. სამ წუთში გონსალო როდრიგესსაც წითელი აუფრიალეს და „მარიბორმა“ მალევე გაათანაბრა — მარიანო ბარბოსასთან პირისპირ დარჩენილ გორაჟდ ზაიცს გატანა არ გასჭირვებია. სტუმართა ტანჯვას კი ბოლო, დიეგო ფორლანის გაძევებით მოეღო.

„დნიპრო“ — „მარსელის“ საინტერესო დაპირისპირებაში კი მთავარი ამბები ბოლო ოც წუთში მოხდა. იქამდე გუნდები, პირველი მატჩის დარად, უგოლოდ დარბოდნენ. 71-ე წუთზე ფრანგების ფორვარდმა მამადუ ნიანგმა, რომელსაც გატანა ადრეც შეეძლო, შეცდომა გამოასწორა და სტუმრები დააწინაურა. მალე მანვე სხვაობა გაზარდა და თითქოს ყველაფერი გადაწყვიტა, მაგრამ უკრაინელები არ გატყდნენ და ანგარიში გაათანაბრეს. მეტიც, მასპინძლებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ ბოლო წუთებზე სერგეი ნაზარჩენკოს საჯარიმო ოდნავ ასჯდა სტუმართა კარს. საბოლოო გამარჯვება, მეტოქის მინდორზე გატანილი გოლების წყალობით, ფრანგებს დარჩათ.

საშინაო და მოულოდნელი ფრის შემდეგ „ნიუკასლმა“ სტუმრად გაანადგურა ნორვეგიული „ლილიესტრიომი“. ორი გოლი შოლა ამეობამ შეაგდო, რომელიც ტრავმით თამაშობდა. მან ჯერ ნოლბერტო სოლანოს დარტყმულს დაამატა, მერე კი სკოტ პარკერის კროსს მიუჩინა მასპინძელთა კარში ადგილი. მესამე ბურთი „ჯორდების“ თურქმა ნახევარმცველმა ემრე ბელოზოღლუმ გაიტანა ლამაზი დარტყმით. 76-ე წუთიდან მოყოლებული, სკანდინავიელები 10 კაცით თამაშობდნენ, რადგან რილდ სანდგომი დაშავდა, ხოლო მწვრთნელს სამივე ცვლილება გამოყენებული ჰქონდა.

ბერლინის „ჰერტას“ მოსკოვში „მოსკვასთან“ ცოტა კი გაუჭირდა, მაგრამ, საბოლოოდ, დამსახურებულად მოიგო. პანტელიჩის კოხტა გოლს, ბოლო წუთებზე გერმანელთა შედეგიანი კონტრშეტევა და ბამთურქის ზუსტი დარტყმა მოჰყვა.

დარჩენილი მატჩებიდან კი „ეთნიკოსისა“ და „მაკაბის“ დრამატული თამაში უნდა გამოვარჩიოთ. კიპროსელებმა პირველი მატჩი სტუმრად 2:0 მოიგეს და ამავე ანგარიშით იმარჯვებდნენ პირველი ტაიმის მერე, თუმცა 74-ე წუთიდან 85-მდე ისრაელელებმა სამი გოლი გაიტანეს და ლამის სენსაციაც გამოაცხვეს, მაგრამ მასპინძლები ბოლს მოვიდნენ და ბოლო 5 წუთში მეტი აღარ გაუშვიათ.

გიორგი კაკაბაძე

ჩხუბი მოსკოვში


ვალერი გაზაევი

რუსეთი

პრემიერლიგა. XIII ტური

სპარტაკი (მ) 1:1 სატურნი
1:0 ფირანეკი (78), 1:1 ერიომენკო (86)
ლოკომოტივი 1:1 ტომი
1:0 სიჩოვი (48), 1:1 პოგრებნიაკი (62)
ლუჩ-ენერგია 4:2 როსტოვი
1:0 მოხარევი (15), 1:1 ოსინოვი (37), 2:1 ტიხონოვეცკი (52), 3:1 ბაზაევი (63), 4:1 არხიპოვი (74ª), 4:2 დანცევი (83)
ცსკა 1:1 კრილია
0:1 ტოპჩი- (45), 1:1 კრასიჩი (90)
სპარტაკი (ნ) 2:1 ამკარი
1:0 ლანკო (2), 2:0 ევსიკოვი (21), 2:1 ლავრიკი (72)
ზენიტი 2:1 ტორპედო
1:0 ჰაგენი (25), 2:0 არშავინი (27), 2:1 ბუდილინი (41)
მოსკვა — დინამო
ხვალ გაიმართება
რუბინი — შინიკი
ზეგ გაიმართება

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ საკუთარ მინდორზე „ტომთან“ ორი ქულა დაკარგა. რკინიგზელები, ფაქტობრივად, მთელი მატჩის მანძილზე უტევდნენ, მაგრამ ერთფეროვნად და უნიათოდ, თანაც ფორვარდებიც ვერ ირჯებოდნენ სათანადოდ და გადამწყეტ მომენტში სკოდავდნენ.

ერთადერთი შეტევა, რომელიც მასპინძლებმა ნორმალურად დასრულეს, მეორე ტაიმის დებიუტში განხორციელდა. დინარ ბილიალეტდინოვმა დიმიტრი სიჩოვი ვასილი ბოგუტოვსკის პირისპირ შეატოვა, „ლოკოს“ ფორვარდს მეკარის გაცურება და ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია.

ტომსკელებს გასათანაბრებლად 15 წუთი დასჭირდათ. კრუნიჩმა მარჯვენა ფლანგიდან კისლოვს ჩაუწოდა, რომლის დარტყმაც პოლიაკოვმა კი მოიგერია, მაგრამ პაველ პოგრებნიაკმა დაამატა.

დრამატული გამოდგა მატჩი გაზაევის ცსკ-სა და „კრილიას“ შორის. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე სამარელების კარგ შეტევას გოლი მოჰყვა, ტოპჩიმა აკინფეევს ბურთი ფეხებშუა გაუტარა. ვითარება ბოლო 5 წუთში დაიძაბა. 86-ე წუთზე კარვალიომ და ბრანკომ წაიჩხუბეს, რის გამოც მინდვრიდან ორივე გააძევეს და გუნდები ათ-ათი კაცით დარჩნენ. ორ წუთში კრილიელმა ანგბვამ იუხეშა და ისიც მათ გააყოლეს. ორი მცველის გარეშე დარჩენილმა სტუმრებმა ველარ გაძლეს და კრასიჩმა ლამაზი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. დამატებით წუთებში გატანა ორივეს შეეძლო, მაგრამ აღარაფერი შეცვლილა.

ამავე ანგარიშით დასრულა მატჩი მოსკოვურმა „სპარტაკმაც“. ვლადიმირ ფიდოტოვის შეგირდებმა „სატურნს“ ვერ სძლიეს. თითქოს ჟირანეკის 78-ე წუთზე გატანილი გოლი ამისთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ 86-ე წუთზე ერემენკომ მასპინძელთა მცველების უყურადღებობით ისარგებლა და წონასწორობა აღადგინა. მალევე „სპარტაკს“ კოვაჩი გაუგდეს და სტუმრებმა კინღამ 3 ქულასაც გამოჰკრეს ხელი.

უხვგოლიანი გამოდგა მატჩი „ლუჩსა“ და „როსტოვს“ შორის. საკუთარ კედლებში ძლიერად მოთამაშე ლუჩელებს არ გასჭირვებიანთ ერთ-ერთ აუტსაიდერთან მოგება — 4:2.

რა ლევანტე?

ვეტერანმა იტალიელმა ნახევარმცველმა დამიანო ტომაზიმ აღნიშნა, რომ „ლევანტესთან“ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია და გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს იგი უკვე ვალენსიური კლუბის წევრი იყოს, მცდარია.

„მინდა დავადასტურო ჩემი აგენტის, ანდრეა პრეტის სიტყვები. რამდენიმე წინადადება მივიღეთ, მაგრამ კონკრეტული ჯერ არაფერია. მე და ჩემი ოჯახი ახლა უცხოეთში გადასვლის ვარიანტს განვიხილავთ. არსად არ მეჩქარება, დრო ჯერ არის და როცა რამე გაირკვევა, ერთ-ერთი პირველი მე ვიქნები, ვინც ამის შესახებ გაუწყებთ“ — განაცხადა 32 წლის ფეხბურთელმა.

ტომაზის თავისი კარიერის მანძილზე მხოლოდ ორ კლუბში უთამაშია, „ვერონაში“ და „რომაში“. 1996 წლის მერე იგი „რომაში“ ირიცხებოდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც იყო. „ჯალოროსის“ მაისურით მას 263 მატჩი აქვს ჩატარებული და 14 გოლი გატანილი. შარშანწინდელი სეზონი მუხლის სერიოზული ტრავმის გამო ლამის მთლიანად ჩაუვარდა. გასულ სეზონში კი კლუბის ფინანსური გასაჭირი გაიზიარა და თვეში მხოლოდ ათას გირვანქიან ხელფასს დაყაბულდა.

„ლევანტეს“ გარდა, ტომაზის ინგლისური კლუბებიც უტრიალებენ და გამორიცხული არ არის მისი „ვერონაში“ დაბრუნებაც.

კოკი კანდელაკი

კოკი კანდელაკი						
სპარტაკი ნ.	13	8	3	2	22:13	27
ცსკა	13	7	3	3	19:9	24
სპარტაკი მ.	13	5	7	1	25:16	22
ლოკომოტივი	13	6	4	3	25:17	22
რუბინი	12	6	4	2	18:12	22
კრილია	13	5	5	3	20:14	20
ტომი	13	5	4	4	13:13	19
ლუჩ-ენერგია	13	5	3	5	18:16	18
ზენიტი	13	4	6	3	16:16	18
მოსკვა	12	4	4	4	13:15	16
სატურნი	13	2	8	3	10:11	14
როსტოვი	13	3	4	6	16:20	13
ამკარი	13	2	5	6	8:20	11
ტორპედო	13	1	6	6	9:18	9
დინამო	12	1	5	6	8:14	8
შინიკი	12	1	3	8	6:22	6

შერიგება

რუუდ ვან ნისტელროი და ალექს ფერგიუსონი

რუუდ ვან ნისტელროის უთხრეს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში“ დარჩენის შანსი აქვს. მოკლედ, ალექს ფერგიუსონი მოლბა.

ჰოლანდიელი ფორვარდი მადრიდის „რეალში“ ან მიუნხენის „ბაიერნში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ გარიგება არ შედგა. „მანჩესტერმა“ დიდძალი თანხა მოითხოვა, რასაც მადრიდელები და მიუნხენელები ვერ შესწვდნენ.

ფერგიუსონ-ვან ნისტელროის შეხლა კი ჯერ კიდევ მარტში დაიწყო, ხოლო მაისში, პრემიერლიგის ბოლო ტურში, ჰოლანდიელი განაცხადს გარეთ დარჩა, რის გამოც გაბრაზდა და გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა. ვან ნისტელროის გაყიდვას ცდილობდნენ, ოღონდ, როგორც ჩანს, ეს ტრანსფერი არ გამოდის. ამიტომ ალექს ფერგიუსონმა ფეხბურთელთან შერიგება გადაწყვიტა. მეგოლე გუნდს დღეს შეუერთდება.

ფერგიუსონმა განაცხადა: „რუუდის მსურველებმა სათანადო თანხა ვერ გადაიხადეს. რაკი ასეა, იგი გუნდში დარჩება და ეს მახარებს. ვან ნისტელროის სეზონში 20 გოლის გატანა შეუძლია. ასეთ ფორვარდს იოლად ვერ ნახავ“.

ირაკლი ნინიძე

ოტო ტოგოში დავტოვეთ

ოტო პფისტერი ტოგოს ნაკრების მწვრთნელად დარჩება და გუნდს აფრიკის 2008 წლის ეროვნებათა თასის შესარჩევ კამპანიაში უხელმძღვანელებს.

ტოგოელებმა ისტორიაში პირველად ითამაშეს მსოფლიოს ჩემპიონატზე და იქ დიდი არეულობა ჰქონდათ. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია პრემიების გადახდას უარობდა, რის გამოც ფეხბურთელები გაფიცვით დაიმუქრნენ. ოტო პფისტერმა კი უკვე დაწყებულ ჩემპიონატზე გუნდი მიატოვა, მაგრამ მერე დაბრუნდა. ფედერაციის ერთ-ერთი ჩინოვნიკი მას ლოთობაში სდებდა ბრალს.

ტოგოს ნაკრებმა მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე ჯგუფში სამივე მატჩი წააგო, მაგრამ მწვრთნელის დატოვება მაინც გადაწყვიტეს.

„ჩვენ არანაირი პრობლემა არ გვაქვს გერმანელ ოტო პფისტერთან, ამიტომ იგი კვლავაც ნაკრების თავკაცი იქნება“ — ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

პაპუნა კედია

ამხანაგური მატჩები

21 ივლისი

ვერდერი (გერმანია) 2:0 ანკარაგიუჯიუ (თურქეთი)
რეალი (ესპანეთი) 1:0 პლიმუთი (ინგლისი)
მიუნხენი (გერმანია) 0:2 ტრაბზონსფორი (თურქეთი)
ლიბერეცი (ჩეხეთი) 0:1 რენი (საფრანგეთი)
ნანტი (საფრანგეთი) 3:0 სენტ ეტიენი (საფრანგეთი)
იოვილი (ინგლისი) 0:2 პორტსმუთი (ინგლისი)
მესინა (იტალია) — მონაკო (საფრანგეთი) *გადაიდო*

22 ივლისი

კაიზერ ჩიფსი (სამხ. აფრიკა) 0:0(პენ.4:3) მანჩესტერი (ინგლისი)
რეინჯერსი (შოტლანდია) 1:0 მიდლსბრო (ინგლისი)
ბარნლი (ინგლისი) 2:1 ბოლტონი (ინგლისი)
ძრიუ (ინგლისი) 0:1 ლივერპული (ინგლისი)
დონკასტერი (ინგლისი) 1:0 სოსიედადი (ესპანეთი)
მილუოლი (ინგლისი) 1:4 ჩარლტონი (ინგლისი)
როჩდეილი (ინგლისი) 2:3 მანჩესტერ სიტი (ინგლისი)
ბირმინგემი (ინგლისი) 0:2 ტოტენჰემი (ინგლისი)
ნორთჰემპტონი (ინგლისი) 1:4 რედინგი (ინგლისი)
კობლენცი (გერმანია) 4:1 ალემანია (გერმანია)
სტრასბური (საფრანგეთი) 2:0 სლავია (ბულგარეთი)
არმინია (გერმანია) 2:2 სლავია (ჩეხეთი)
ფრაიბურგი (გერმანია) 4:2 შტუტგარტი (გერმანია)
არსენალი (ინგლისი) 2:1 აიაქსი (ჰოლანდია)
შარლეროა (ბელგია) 2:3 ლიონი (საფრანგეთი)
ლიერსი (ბელგია) 2:2 ალკმაარი (ჰოლანდია)
სპარტა (ჩეხეთი) 2:1 ძსანთი (საბერძნეთი)
ვენლო (ჰოლანდია) 2:1 მიონხენგლადბახი (გერმანია)
უნტერჰახინგი (გერმანია) 0:0 იაბლონეცი (ჩეხეთი)
ნანსი (საფრანგეთი) 1:0 ბეშიქთაში (თურქეთი)
კაპფენბერგი (ავსტრია) 0:3 მანისასფორი (თურქეთი)
გრონინგენი (ჰოლანდია) 2:2 პორტუ (პორტუგალია)
აეკ (საბერძნეთი) 1:0 ნაპოლი (იტალია)
პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 4:0 ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
რომა (იტალია) 3:0 სტანდარდი (ბელგია)
ვესტერლო (ბელგია) 3:0 ნიმეგენი (ჰოლანდია)
ნიცა (საფრანგეთი) 2:1 სელტა (ესპანეთი)
სენტ ტრუიდენი (ბელგია) 0:0 როდა (ჰოლანდია)
ბრიუგე (ბელგია) 2:0 პსჟ (საფრანგეთი)
ბენფიკა (პორტუგალია) 2:0 ბორდო (საფრანგეთი)
იორდანია 2:1 ერაყი

23 ივლისი

სელტიკი (შოტლანდია) 1:0 ევერტონი (ინგლისი)
მოზერუელი (შოტლანდია) 1:2 ვესტ ბრომვიჩი (ინგლისი)
ნოტსი (ინგლისი) 0:2 ქოვენთრი (ინგლისი)
სუინდონი (ინგლისი) 2:2 კრისტალ პალასი (ინგლისი)
ლინცერი (ავსტრია) 1:1 ბაიერნი (გერმანია)
ჰამბურგი (გერმანია) 1:1 ბლეიბერნი (ინგლისი)
გენკი (ბელგია) 0:1 ტილბურგი (ჰოლანდია)
ვერდერი (გერმანია) 0:4 ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) 0:0 პარტიზანი (სერბეთი)

ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

UNDER 19 Championship

A ჯგუფი
III ტური

ჩეხეთი 2:0 პოლონეთი
ავსტრია 4:1 ბელგია

საბოლოო ცხრილი

ჩეხეთი	3	2	0	1	7:5	6
ავსტრია	3	2	0	1	6:4	6
პოლონეთი	3	1	0	2	4:4	3
ბელგია	3	1	0	2	6:10	3

B ჯგუფი
III ტური

პორტუგალია 1:1 ესპანეთი
თურქეთი 2:3 შოტლანდია

საბოლოო ცხრილი

ესპანეთი	3	2	1	0	10:4	7
შოტლანდია	3	1	1	1	5:8	4
პორტუგალია	3	0	3	0	7:7	3
თურქეთი	3	0	1	2	9:12	1

დანია

სუპერლიგა
II ტური

სილკებორგი — კოპენჰაგენი 1:4; ესბიერგი — ოლბორგი 1:2; რანდერსი — ჰორსენსი 1:0; ვიბორგი — მიდტიულანდი 0:1; ბრონდბიუ — ნორდსიელანდი 2:1. *ვაილე — ოდენსე გადაიდო*

კოპენჰაგენი	2	2	0	0	5:1	6
ოლბორგი	2	2	0	0	5:2	6
ბრონდბიუ	2	2	0	0	4:2	6
მიდტიულანდი	2	1	1	0	2:1	4
ნორდსიელანდი	2	1	0	1	6:2	3
ესბიერგი	2	1	0	1	3:3	3
რანდერსი	2	1	0	1	1:5	3
ოდენსე	1	0	1	0	1:1	1
ვაილე	1	0	0	1	1:2	0
ჰორსენსი	2	0	0	2	0:2	0
ვიბორგი	2	0	0	2	1:4	0
სილკებორგი	2	0	0	2	2:6	0

შვეიცარია

სუპერლიგა
II ტური

ბაზელი — შაფჰაუზენი 3:0; ციურიხი — აარაუ 3:0; სიონი — ლუცერნი 3:2; თუნი — იანგ ბოისი 0:0. *სენტ გალენი — გრასჰოპერი გადაიდო*

ციურიხი	2	2	0	0	6:0	6
ბაზელი	2	1	1	0	4:1	4
სიონი	2	1	1	0	3:2	4
თუნი	2	0	2	0	1:1	2
იანგ ბოისი	2	0	2	0	1:1	2
სენტ გალენი	1	0	1	0	1:1	1
გრასჰოპერი	1	0	1	0	0:0	1
შაფჰაუზენი	2	0	1	1	1:4	1
აარაუ	2	0	1	1	1:4	1
ლუცერნი	2	0	0	2	2:6	0

ჩელენჯლიგა
პირველი ტური

ბელინცონა — კიასო 2:1; იუვენტუსი — ლუზანა 1:1; დელემონი — ვილი 3:3; კრინსი — ვოლენი 2:1; ვადუცი — სერვეტი 4:2; ივერდონი — ვინტერთური 2:1; ბოლმი — კონკორდია 0:2; ლუგანო — ლოკარნო 2:0

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XIII ტური

იარო — ვაასა 1:1; ჰონკა — მარიეჰამნი 2:1; კტპ — კუოპიო 3:1; ტურკუ — ჰაკა 1:2; ლაჰტი — ჰიკ 0:2

ჰონკა	13	8	2	3	31:17	26
ტამპერე	11	8	1	2	17:9	25
ჰიკ	13	6	3	4	16:11	21
ჰაკა	12	6	3	3	13:8	21
ტურკუ	13	6	2	5	24:19	20
მარიეჰამნი	13	5	4	4	18:14	19
მიუპა	11	4	3	4	11:10	15
კტპ	12	4	2	6	12:22	14
იარო	12	3	4	5	14:14	13
ვაასა	12	3	4	5	13:15	13
ლაჰტი	13	3	3	7	9:19	12
ინტერი	9	3	2	4	8:13	11
კუოპიო	12	1	3	8	8:23	6

შვედეთი

ალსვენსკა
XI ტური

ჰეკენი — იურგორდენი 0:2; იორგრიტე — ჰელსინგბორგი 1:1; აიკ — ჰალმსტადი 3:0; გეფლე — მალმიო 4:3. *იოსტერსი — გაის დღეს გაიმართება, ელფსბორგი — ჰამარბი ხვალ, კალმარი — გიოტებორგი გადაიდო*

ჰამარბი	10	7	2	1	19:10	23
აიკ	11	6	3	2	21:12	21
იურგორდენი	11	5	4	2	13:8	19
გიოტებორგი	10	5	3	2	16:9	18
მალმიო	11	5	3	3	17:13	18
კალმარი	10	5	2	3	15:9	17
ელფსბორგი	10	4	5	1	14:10	17
გეფლე	11	4	3	4	12:15	15
გაის	10	3	3	4	9:12	12
ჰელსინგბორგი	11	2	5	4	14:16	11
ჰეკენი	11	2	4	5	12:15	10
ჰალმსტადი	11	1	5	5	4:12	8
იოსტერსი	10	1	2	7	4:19	5
იორგრიტე	11	0	4	7	8:18	4

სუპერეტა
XVI ტური

უმეა — დეგერფორსი 1:1; მიალბი — ატვიდაბერგი 1:1. *ასირისკა — ბრომაპოიკარნა და იონკოპინგი — იორებრო დღეს გაიმართება*

ნორვეგია

ტიპელიგა. XIV ტური

მიოლდე — ოდ გრენლანდი 2:0; ვოლერენგა — რიმინი 1:2; ჰამ კამი — სანდეფიორდი 3:0; სტარტი — რუსენბორგი 2:1; ფრედრიკსტადი — ვიკინგი 2:1. *სტაბეკი — ტრომსიო დღეს გაიმართება, ლილესტრიომი — ბრანი გადაიდო*

ბრანი	13	8	4	1	21:11	28
ლილესტრიომი	12	6	4	2	21:14	22
რუსენბორგი	14	5	6	3	19:15	21
სტაბეკი	13	4	7	2	19:13	19
ოდ გრენლანდი	14	4	7	3	18:15	19
ვოლერენგა	14	5	4	5	17:15	19
ჰამ კამი	14	5	3	6	21:18	18
ლინი	13	5	3	5	13:15	18
სანდეფიორდი	14	5	3	6	18:23	18
მიოლდე	14	5	2	7	17:22	17
ფრედრიკსტადი	14	4	4	6	18:24	16
სტარტი	14	3	6	5	12:17	15
ვიკინგი	14	3	5	6	11:16	14
ტრომსიო	13	2	4	7	11:18	10

I დივიზიონი. XV ტური

ალესუნდი — ჰორს გრენლანდი 2:0; ჰ

სარბიელი & კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		რუსეთი						
		25 ივლისი						
19:00	341	მოსკოვი-დინამო	2.85	2.90	2.45	1.43	1.31	1.32
		26 ივლისი						
19:00	46	რუბინი-შინიკი	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		24 ივლისი						
21:00	340	სტაბეკი-ტრომსიო	1.85	3.30	3.90	1.18	1.25	1.78
		შვედეთი. ალსვენსკა						
		24 ივლისი						
21:00	116	იოსტერსი-ვაის	2.35	3.20	2.75	1.35	1.26	1.47
		25 ივლისი						
22:00	117	ელფსბორგი-ჰამარბი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
		შვედეთი. სუპერეტა						
		24 ივლისი						
21:00	125	ასირისკა-ბრომაპოიკარნა	1.85	3.40	3.65	1.19	1.22	1.76
21:00	126	იონკოპინგი-იორებრო	4.00	3.40	1.80	1.83	1.24	1.17

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჩემპიონთა ლიგა						
		25 ივლისი						
14:00	355	ეერანასი-დინამო ზ	5.50	3.50	1.60	2.13	1.23	1.09
21:00	357	ჰაფნარფიორდური-ლეგია	5.00	3.20	1.65	1.95	1.24	1.08
21:00	359	ფენერბაჰჩე-ბ 36 ტორშავნი	1.10	6.00	15.00	1.00	1.02	4.28
21:00	361	ვორიცა-სტიაუა	3.00	3.10	2.25	1.52	1.28	1.30
		26 ივლისი						
21:00	356	შელბურნ ტრანსლანსტაუ მ	7.50	3.60	1.45	2.43	1.21	1.03
21:00	358	მეტალურგი ლ-დინამო კ	7.50	3.60	1.45	2.43	1.21	1.03
22:00	360	ეურეორდენი-რეუომბეროკი	1.85	3.20	4.10	1.17	1.27	1.79
22:15	362	ციურიხი-ზალცბურგი	2.05	3.00	3.20	1.21	1.24	1.54
22:45	363	დებრეცენი-რაბოტნიკი	1.50	3.40	7.30	1.04	1.24	2.31
22:45	364	კორკი ს-ცრვენა ზვეზდა	2.90	3.20	2.20	1.52	1.25	1.30
22:45	365	ბოლესლავი-ვოლერენგა	1.85	3.20	4.20	1.17	1.28	1.81
22:45	366	კოპენჰაგენი-მიუპა	1.40	3.80	8.50	1.02	1.20	2.62
22:45	367	ჰართსი-შიროკი ბრიეგი	1.35	4.20	8.50	1.02	1.16	2.81

ჩოგბურთი. კაცები. უმაგი. 24 ივლისი

19:00	342	გრიული-დი მაურო	1.35	2.80	19:00	345	მოია-ნოვაკი	1.35	2.55
19:00	343	დლოუგი-ბენეტო	1.65	1.95	19:00	346	რამირეს იდალგო-ვისენტე	1.45	2.40
19:00	344	კოროლიოვი-ჩილიჩი	1.35	2.75	19:00	347	ფერერო-პორტასი	1.20	3.30

ჩოგბურთი. ქალები. სტენფორდი. 24 ივლისი

19:00	348	ბარტოლი-ბამერი	1.45	2.50	19:00	351	კრეიბასი-რუბინი	1.45	2.30
19:00	349	გოლოვინა-ბონდარენკო	1.60	2.00	19:00	352	პირი-ლიუ	1.15	4.00
19:00	350	დეში-კამერინი	1.55	2.15	19:00	353	სუგიამა-პეშკე	1.60	2.00

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
	მოსკოვის გამზირი №6	
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4	
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21	
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	თამარ მეფის №1	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29	
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის №39	
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის №12	

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი B დივიზიონი. პორტუგალია. 14-23 ივლისი

ვუყურებ დოლინგაშვილს ფოტოები

პორტუგალიური ვიქტორია

ქართველებმა B დახურეს და A გახსნეს

ნახევარფინალი

საქართველო 74:63 ფინეთი

15:14 26:20 14:16 19:13

საქართველო: გამყრელიძე (7), ცინცაძე (8), საყვარელიძე (16), სანიკიძე (27), დიდია 5); ლეჟავა (8), ჩხატარაშვილი (3), ჭოჭუა

ქართულ კალათბურთში თურმე ასეც ხდება: როცა არ ელი, სწორედ მაშინ გამოდნება რაღაც დიდი, მნიშვნელოვანი გამარჯვება. საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ერთი წლის წინ მოთამაშეებიც რჩეული ჰყავდა და მწვრთნელსაც აქებდნენ, მაგრამ ფინეთში დამარცხდა და ევროპის დაჩაგრული ქვეყნების მარაქაში, **B** დივიზიონში ჩარჩა. ახალგაზრდულ ნაკრებს კი არც უცხოელი დამრიგებელი ჰყოლია და საერთოდაც, უცენტროდ ითამაშა ევროსაკვალიფიკაციო ტურნირი პორტუგალიაში, მაგრამ უფროსებისგან განსხვავებით, 20-წლამდელებმა წარმატებით დაძლიეს ყველა ბარიერი და ნახევარფინალში ფინეთის ძლევით **A** დივიზიონის ნანატრი საგზური მოიპოვეს.

ფინეთი იყო ის ნაკრები, რომელმაც საქართველო პორტუგალიაში პირველივე მატჩში დაამარცხა. მას მერე ქართველებმა ერთიც წააგეს, სკანდინავიელები კი ჩაუმუხლავად მივიდნენ ნახევარფინალამდე და **A** დივიზიონში გადასასვლელ მატჩში ეს ორი გუნდი კვლავ ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა.

დავით უსტიაშვილის ინტერვიუში, რომელსაც წერილის ბოლოს შემოგთავაზებთ, ნაკრების თავკაცი ამბობს: „ფინელებს ძალიან არ უნდოდათ ნახევარფინალში ქართველებთან შეხვედრა და ჯგუფის ბოლო მატჩში ჰოლონელებს რომ ვეთამაშებოდით, ჩვენ გვქომაგობდნენ“.

ფინელები ქართველებს უფრთხოდნენ, რადგან ერთხელ უკვე შეხვედროდნენ მათ და მიუხედავად იმისა, რომ დაემარცხებინათ, ალბათ, გუმანით გრძნობდნენ საფრთხეს. დავით უსტიაშვილმა ფინელებთან პირველ მატჩში დამარცხებიდან სწორი დასკვნები გამოიტანა და ბიჭებმაც რომ გაუმართლეს, თითქმის უპრობლემოდ გადაილახა სკანდინავიური ბარიერი.

ქართველებმა საბოლოოდ სოლიდური სხვაობით გაიმარჯვეს, მაგრამ ეს უდიდესი ძალისხმევისა და შეუპოვრობის ხარჯზე მოახერხეს. უსტიაშვილის გუნდმა გაუძლო უდიდეს ფსიქოლოგიურ წნეხს. წარმოიდგინეთ, როგორია, 17 ქულას იგებ და თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე მეტოქე ანგარიშის გათანაბრებას ახერხებს. ასეთ დროს ქართველებს ზოგადად დაბნევა სჩვეოდათ, თუმც უსტიაშვილის ბიჭებზე ეს არ ითქმის. მათ საკუთარ თავს აჯობეს, ფსიქოლოგიურ ზეწოლას გაუძლეს და თამაშის დარჩენილი წუთები უდიდესი აღმფრენით ჩაატარეს.

სადებიუტო 7:14 ჩამორჩენის შემდეგ ქართველებმა სათამაშო რიტმი იპოვეს — რევაზ დიდიასა და ბესიკ ლეჟავას დახმარებით პირველი მეოთხედის ბოლო წუთები 8:0 მოუგეს ფინელებს — მცირე შესვენებაზეც, შესაბამისად, ქულიანი ლიდერობით გავიდნენ.

მეორე მეოთხედში დიდი ამბები დატრიალდა. ქართველები დიდებულად ათამაშდნენ — ვიქტორ სანიკიძემ და დავით საყვარელიძემ მეტოქეს დიდი თავსატკივარი გაუჩინეს. საყვარელიძემ განსაკუთრებით ისახელა თავი — მეორე მეოთხედში ფინელებს მიჯრით სამი სამქულიანი ჩაუგდო, ხოლო მთლიანად ამ პერიოდში 12 ქულა მოიხვეჭა. როცა მას ხელი ვიქტორ სანიკიძემაც შეაშველა, ქართველთა ნახსენები 17-ქულიანი ლიდერობაც ამ დროს გამოცხვა — 40:23.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამის მერე ქართველთათვის არასახერბიელო ამბები მოხდა. პირველ ტაიმამდე დარჩენილი 3 წუთი ფინელებმა 11:1 მოიგეს და დიდ შესვენებაზე იმედიანად გავიდნენ.

მესამე მეოთხედი კატათაგვობანა გამოდგა. ქართველებმა მეტოქე ძალიან ახლოს არ მიუშვეს და გადამწყვეტი პერიოდის წინ 55:50 იგებდნენ.

მერე მოხდა ის, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ: ფინელებმა ანგარიში გაათანაბრეს — ეს 206-სანტიმეტრიანმა სამუელ ჰაანპამ სამქულიანით მოახერხა — 55:55. აქ კი ქართველები კატასტროფის წინაშე აღმოჩნდნენ, თუმც, როგორც უკვე ვთქვით, ისინი სულით არ დაცემულან, თამაშის ტემპი დააგდეს და ზედმეტი ექსპერიმენტების გარეშე ქულების ხვეჭას მიჰყვეს ხელი.

უმნიშვნელოვანესი გამოდგა ლაშა გამყრელიძის სამქულიანი, რითაც საქართველო კვლავ 5-ქულით დაწინაურდა და როცა ვიქტორ სანიკიძემაც იგივე გაიმეორა, ქართველებმა კვლავ ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვეს 65:57.

სირენამდე 3 წუთით ადრე გიორგი ცინცაძემ 10 ქულამდე გაზარდა ქართველთა უპირატესობა და როცა ფინელებმა საპასუხო შეტევა ჩააფლავეს, დავით უსტიაშვილის გუნდმა **A** დივიზიონის საგზური გაიფორმა.

გუშინ ახალგაზრდების ამ წარმატების სულისჩამდგმელ ***დავით უსტიაშვილს*** შევეხმიანეთ, რომელმაც წარმატების საწინდრად ჩვენიანთა უბადლო დაცვა დაასახელა...

— ფინეთს მხოლოდ 63 ქულა ჩავაგდებინეთ და ამიტომაც გავიმარჯვეთ. დაცვაში განსაკუთრებით კარგად ვითამაშეთ და ფინელთა ლიდერებს გასაქანი არ მივეცით.

— თქმა იოლია, შესრულება კი ძნელი. როგორ მოახერხეთ დაცვაში ასე წარმატებით თამაში?

— ფინელებს ტურნირის პირველივე მატჩში შევხვდით და იმ შეხვედრიდან საჭირო დასკვნები გამოვიტანეთ. მათ თამაშებს მერეც ვაკვირდებოდით და როცა გაირკვა, რომ ფინელებს შევხვდებოდით, ყველაფერი გავაანალიზეთ. ფინელთა ბომბარდირებმა, რომლებიც თითოეულ მატჩში 20 და მეტ ქულას იხვეჭდნენ, ქართველებთან ათის შეკოწიწებაც ვერ მოახერხეს. ეს დაცვის და სწორად შერჩეული ტაქტიკის დამსახურებაა. მხოლოდ ტაქტიკა არაფერია, თუ მას ვერ შეასრულებ. ბიჭებმა კი ყველაფერი გააკეთეს, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვეუბნები.

— განსაკუთრებით ვის გამოარჩევდით?

— ვიქტორ სანიკიძემ პირველი თამაშიდან რომ დაიწყო წინსვლა, დღემდე პროგრესს განიცდის. ყოველი მომდევნო მატჩი მისთვის უწინდელზე უკეთესი იყო. დიდად დაგვეხმარა გიო ცინცაძე, დავით საყვარელიძე, ბესო ლეჟავა, გიორგი გამყრელიძე და რევაზ დიდია. დანარჩენებმაც კარგად ითამაშეს, წარმატებაში ყველამ დაიდო წილი. რევაზ დიდია 1987 წლის ბოლოსაა დაბადებული, ის ჯერ სრულიად ახალგაზრდაა და ისე ითამაშა, არ მოველოდით. ის ორი მეტრია სიმაღლეში და 210, 215-სანტიმეტრიანი ხალხისგან გვიცავდა.

— ბოლო მეოთხედში ფინეთმა ანგარიში რომ გაგითანაბრათ, დიდი დარტყმა იყო თქვენთვის?

— არა, საერთოდ არ შევშფოთებულვარ. ფინელები ჯახირით იხვეჭდნენ ქულებს, თამაშს ეტყობოდა, რომ ჩვენი კარნახით მიმდინარეობდა. ჩვენ უფრო ლაღად ვირჯებოდით, ამიტომაც წაგებაზე არც მიფიქრია.

— საყვარელიძემ მეორე მეოთხედში მიყოლებით 3 სამქულიანი ჩააგდო. ეს მოულოდნელობა იყო თქვენთვის?

— არა, რადგან სამქულიანების სასროლი კომბინაციები დამუშავებული გვქონდა და საყვარელიძემ ყველა სამიანი მრავალსვლიანი პასების შედეგად, პერიმეტრზე მარტოდ დარჩენილმა ჩააგდო. მას მერე კიდევ არაერთხელ მიეცა შორიდან ჩაგდების შესაძლებლობა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. კალათბურთის არსიც ესაა, ხან ჩააგდებ, ხან — ვერა.

— ფინეთთან გამარჯვება რის მერე ირწმუნეთ?

— მე თავიდანვე მჯეროდა გამარჯვების, უშუალოდ კი მაშინ დავრწმუნდი გამარჯვებაში, ლაშა გამყრელიძის სამქულიანს სანიკიძემაც სამიანი რომ მიაყოლა. ეს სროლები სირენამდე 4-5 წუთით ადრე განხორციელდა და მნიშვნელოვნად განაპირობა ჩვენი გამარჯვება.

— რა გამოხმაურება მოჰყვა ქართველების გამარჯვებას?

— ჩვენი პირველი მომლოცველი ფინეთის ნაკრების მწვრთნელი იყო, რომელმაც თამაშის დამთავრების შემდეგ, როცა მასთან ხელის ჩამოსართმევად მივდიოდი, ტაში დაგვიკრა. ჩვენი ნაკრები ყველა მწვრთნელმა თუ სპეციალისტმა შეაქო, ვისთანაც ურთიერთობა მქონდა. ალბათ, არავინ ელოდა, რომ ქართველები ფინალში გავიდოდნენ.

— ამის, ალბათ, არც თქვენ გჯეროდათ...

— რომ ვთქვა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ფინალში გავიდოდითმეთქი, ტყუილი იქნება. ჩვენ **A** დივიზიონში გადასვლას არავინ გვთხოვდა. მთავარი მიზანი ეროვნული ნაკრების კანდიდატების მომზადება და შეთამაშება იყო. ახლა კი გეგმა გადაჭარბებით შესრულდა: ნაკრების კანდიდატები ფორმაში შევიდნენ, შეთამაშდნენ და თან **A** დივიზიონშიც ავინაცვლეთ.

— ელიტაში კი ავინაცვლეთ, მაგრამ ფინალია სათამაშო.

— რა თქმა უნდა, ჩვენ ტურნირის მოსაგებად ვიბრძოლებთ, მაგრამ შესაძლოა, მაკედონიასთან შესუსტებული შემადგენლობით ვითამაშოთ. სანიკიძემ გუშინ გაციებულმა ითამაშა, საღამოს კი სიცხემ აუწია. მას ჯერ არ გაულეია და არ ვიცით, რა მდგომარეობაშია. ეროვნული ნაკრების ინტერესების გათვალისწინებით, სანიკიძეს ალბათ არ ვათამაშებ, ოღონდ მაღალი სიცხე თუ ჰქონდა. დავით საყვარელიძესა და ბესიკ ლეჟავასაც აწუხებთ მიკრო-ტრავმები და ჯერ არ ვიცი, მაკედონიასთან ვინ გავა მოედანზე. მთავარი მიზანი მიღწეულია და თუ სიცხიან-ტრავმირებულებს დავტირთავთ, ასეთი ფინალის მოგება არ გვჭირდება. ჯობს ნაკრების კანდიდატებს ახლა გავუფრთხილდეთ, რათა შემდეგ არ გაგვიხდეს სანანებელი. ისე კი, მაკედონიასთან მხოლოდ მოსაგებად გავალთ მოედანზე და მჯერა, რომ მიზანსაც მივაღწევთ.

ირაკლი პერტაია

ფინალი

მაკედონია 88:96 საქართველო

19:25, 30:20, 24:28, 15:23

საქართველო: გამყრელიძე (15), ცინცაძე (15), ჭოჭუა (15), სანიკიძე (30), დიდია (11); ლეჟავა (8), ჩხატარაშვილი (2)

ბორის კაპიტანი



იაპონიის დარბაზებში, მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრებს ბორის დიაუ უკაპიტნებს. მართალია, დიაუ მხოლოდ 24 წლისაა, მაგრამ ნბა-ში და სამშობლოშიც იმხელა პატივისა და ავტორიტეტის მოხვეჭა მოასწრო, რომ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლოდ ბერგომ მოედანზე გუნდის გაძღოლა სწორედ მას დაავალა. იყო კიდევ ერთი კანდიდატურა, ისიც ნბა-ს ვარსკვლავი, „სან ანტონიო სფურზის" გამთამაშებელი ტონი პარკერი, რომელიც მხოლოდ 23 წლისაა, მაგრამ უკვე ნბა-ს ორგზის ჩემპიონი გახლავთ (2003, 05). პარკერს ზღაპრული სეზონი ჰქონდა, შედეგიანობა თითქმის 20 ქულამდე გაიუმჯობესა და გუნდში პირველობა თვით ტიმ დანკანსაც ჩამოართვა, მაგრამ არჩევანზე რომ მიდგა საქმე, თავად პარკერმა თქვა უარი ეროვნული გუნდის პირველკაცობაზე — ვერ ვარ საკაპიტნო კაციო.

გადასარევი სეზონი ჰქონდა დიაუსაც. ნბა-ში პირველი ორი წელი „ატლანტაში" ტანჯვის შემდეგ ის „ფინიქსში" გაუშვეს ჯო ჯონსონის ნაცვლად და ფრანგმაც იქ გაშალა ფრთები. „ატლანტაში" ის მატჩში საშუალოდ 5 ქულას იხვეჭდა, „ფინიქსში" კი შედეგიანობა 13,3 ქულამდე „ასწია" და ზედ 6,9 მოხსნა და 6,2 პასიც მოაყოლა, რის შემდეგაც იგი სეზონის ყველაზე გაუმჯობესებულ მოთამაშედ დაასახელეს.

ეს უნივერსალი პლეი ოფში კიდევ უფრო შედეგიანად ირჯებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელმა ის ფრთიდან ცენტრის (!) პოზიციაზე გაამწესა. სტივ ნეშის ლიდერობით და დიაუს დახმარებით „ფინიქსმა" პლეი ოფში დასავლეთის ფინალსაც უწია და იქ „დალასს" კბილები ამტვრია.

კოტე ყორშია

ტორონტოა თუ ტრევიზო?

რეპტორზი ევროპელებით გაივსო

იტალიური „ბენეტონის" ყოფილი შეფის მაურიციო ჯერარდინის გადასვლა სწრაფად დაეტყო ნბა-ს ერთადერთ კანადურ კლუბ „ტორონტო რეპტორზს", კარგად თუ ცუდად, ეს მომავალში გამოჩნდება, თუმც დიდი ტბებისპირა მეგაპოლისში ევროპულმა სიომ რომ დაუბერა, ამერიკაში ამას ყველა გრძნობს.

ჯერარდინი „ტორონტოს" მთავარ საქმეთმწარმოებელ ჯერი კოლანჯელოს პირველ მოადგილედ დანიშნა და მსწრაფლვე იწყო „რეპტორიზის" შემადგენლობის ევროპელებით შევსება. კლუბმა დრაფტზე კუთვნილი პირველი არჩევანის უფლება იმავ „ბენეტონში" მოთამაშე ახალგაზრდა იტალიელ მეფარე ანტონიო ბარნანიზე დახარჯა. ორი დღის წინ კი იქ კიდევ ერთი ევროპელი ჩაირიცხა. ისევ ბენეტონელი, ოღონდ პასპორტით სლოვენიელი, აპლუით კი ცენტრი იუროშ შლოკარი „ტორონტომ" 2005 წლის დრაფზე ერთ-ერთ ბოლო, 58-ე ნომრად აირჩია. დრაფტის ასეთი დაბალი ნომრები, საერთოდ მეორე წრეში არჩეული მოთამაშეები იშვიათად ხვდებიან ნბა-ს მოედანზე. 30 კაციდან 8-10-ს თუ გაუმართლებს. ერთი წლის წინ „ტორონტოში" არც ისურვეს დრაფტის უფლების გამოყენება და შლოკარის შემატება, მაგრამ ახლა სლოვენიელი ნბა-შია და „რეპტორზის" ლიდერ კრის ბოშს და ბენეტონელ ძველ გუნდელ ბარნანის ფარქვეშა 10-ოდ წუთით შეცვლის.

ამ დღეებში კიდევ ერთმა ევროპელმა გადაუფრინა ატლანტის ოკეანეს და ნბა-ში „ჩაფრინდა". „ჰიუსტონ როკეტსმა" რამდენიმე წლით (არ გახმაურებულა, ზუსტად რამდენით) საბერძნეთის ნაკრებისა და ათენის „პანათინაიკოსის" ერთ-ერთი ლიდერი, ევროლიგაში საშუალოდ 15,5 ქულის მბოჭველი უკანახაზელი ვასილის სპანულისი შეიმატა.

კოტე ყორშია

ყველანი დენვერში!

ნაგიტსი მომავალს იზიდავს



ჯეიარ სმიტი

ღღითიღღე ძლიერდება „დენვერ ნაგიტსი". კლუბის ბოსებმა ორი თავისუფალი აგენტი შეინარჩუნეს — კარმელო ენტონი და ნენე. მართალია, ეს ჯამში 140 მილიონად დაუჯდათ, მაგრამ არ ჩივიან, რაკი სუპერგუნდის აშენება განუზრახავთ.

შაბათს კოლორადელებმა კიდევ ერთი ნიჭიერი ყმაწვილი შეიმატეს. ნბა-ში პირდაპირ სკოლის მერხიდან მოხვედრილი ჯეიარ სმიტი მხოლოდ 20 წლისაა და ლიგა-ში თამაშის ორწლიანი გამოცდილება აქვს. ეს ორი სეზონი „ნიუ ორლეანში" გაატარა და პერსპექტიული ყმაწვილის სახელიც დაიგდო. რამდენიმე კვირის წინ ძველმა კლუბმა „ჩიკაგოში" გაცვალა, თუმცა ახლა ის უკვე „დენვერშია" და „ნაგიტსის" დამწყებ ხუთეულში თამაშისთვისაც ემზადება.

„სულ არ ვნანობ, სკოლიდან პირდაპირ ნბა-ში რომ მოვხვდი. ბიჭები, რომლებიც უნივერსიტეტში აგრძელებენ სწავლას, 4 წელს კარგავენ, მე კი უკვე მაქვს საკმარისი გამოცდილება, რომ ახალ გუნდთან ერთად ყველაფერი თავიდან დავიწყო და მოედანზე არ დავიბნე, ეს სად მოვხვდიო."

კონტრაქტის პირობები არ გახმაურებულა, თუმც ძნელად სავარაუდოა, სმიტს იმდენივე გადაუხადონ, რამდენიც ენტონის (80 მილიონი 5 წელიწადში), ან თუნდაც ნენეს (60 მილიონი 6 წელიწადში), მაგრამ ჯორჯ კარლი, „ნაგიტსის" თავკაცი, მას ხუთეულისთვის რომ ამზადებს, ეს ცხადია.

„ჯეიარს კარგი 3-ქულიანი სროლა აქვს, ჩვენ კიდევ დიდი დრო გვაქვს მასზე სამუშაოდ" — ამბობს კარლი, რომელმაც ახალ მოთამაშესთან მუშაობა რესტორანში ლანჩზე მისი დაპატიჟებით დაიწყო.

კოტე ყორშია

სამი ერი 2006

AFP ჯეილინგტონიდან

ახალზელანდიელთა პირველი ლელო პირი ვიპუსი იყო

დენიმ დენი გამოიცნო

ჯარტერმა ქურციკები დახვრიტა

ახალი ზელანდია 35:17 სამხრეთ აფრიკა

ახალი ზელანდია: მაკდონალდი, ფაულეტი, მულიაინა, ტუიტუპუ, ჰამილტონი, კარტერი, ვიპუ, სოოლაიო, მაკქოუ (კაპიტანი), სორნი, უილიამსი, ჯეკი, ჰეიმანი, ოლივერი, ტიალატა

შეცვლაზე შევიდნენ: ჰორი, სომერვილი, მასო, მაკალისტერი, ტოიავა

2ლ: ვიპუ, მაკქოუ; 2გ: კარტერი; 7ს: კარტერი

სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, ჰოლსე, ფური, ოლივერი, ჰაბანა, ჯეიმსი, პრეეცი, კრონხე, ჯ. სმიტი, ტუბილიკა, მეკფილდი, ფან დენ ბერხი, ფან დერ ლინდე, ჯ. სმიტი (კაპიტანი), დურანტი

შეცვლაზე შევიდნენ: კუცია, ენდრიუსი, ჟანუარი, ბოსმანი, პიტერსენი

2ლ: პრეეცი, ჰოლსე; 2გ: მონტგომერი; 1ს: მონტგომერი

ველინგტონის „ვესტპაკ" სტადიონზე ახალი ზელანდია-სამხრეთ აფრიკის სასეირო ჯახით დასრულდა წლევანდელი სამი ერის პირველი წრე. ლეგენდარულმა „ოლ ბლექსმა" მაგარ ბუღრაობაში დენი კარტერის ჯადოფეხით მოუგო „ქურციკებს" და ქულათა საგრძნობი მარაგით პირველი წრის სეფეგუნდი შეიქნა.

გასულ უქმეებზე, ავსტრალიასთან სირცხვილნაჭამი აფრიკელები ზელანდიას მისსავე მოედანზე მაგრად დაუდგნენ. ამ გუნდს ერთი კვირის წინ მიწასთან გასწორებულის არაფერი ეტყობოდა. როდესაც მატჩის წინ სამხრეთ აფრიკის ტრავმირებულ ვარსკვლავს დენი როსოუს ინტერვიუ ჩამოვართვით, გვითხრა, რომ სადღეისოდ ახალი ზელანდია ყველაფრის უპირობო ფავორიტია, მათი მეათე ნომერი დენი კარტერი კი საუკეთესოებში საუკეთესოო.

იმ თამაშით, რაც სამხრეთ აფრიკამ შაბათს ითამაშა, ავსტრალიასთანაც არ წახდებოდა და ეგებ ახალი ზელანდიისთვისაც მოეგო, ოღონდ „შავებს" არ უნდა ყოლოდათ კარტერი, რომელმაც შვიდიდან შვიდი ჯარიმა შეაგდო და ვიპუს და ყოჩი რიჩი მაკქოუს ნაოფლარი ლელოებიც ქულებში გარდასახა.

ჯამში კარტერმა 25 ქულა უთავაზა სამხრეთ აფრიკას და თავის კაპიტანს, ვაუკაც რიჩი მაკქოუს ათქმევინა, ყველამ დავიჩოქოთ და დენის ფეხები დავუკოცნოთო.. „რაც დაიდო ყველაფერი გაიტანა. რომ არა დენი კარტერი ამ მატჩს მოვიგებდით... ჩვენ მოვუგეთ ახალ ზელანდიას, მაგრამ წავაგეთ კარტერთან, ვინც უდიადესი მოთამაშეა" — ასე ფილოსოფოსობდა ნამატჩევს სამხრეთაფრიკის მეცხრე ნომერი დე პრეეცი. მიუხედავად წაგებისა, დე პრეეცმა თავისი წილი აღიარება მაინც მიიღო. მისი მართლაც ჯადო ლელო სამ ერზე გატანილ ლელოებში საუკეთესოდ აღიარეს.

ბაჩო სვანიძე

სატურნირო ვითარება

ახალი ზელანდია	2	0	0	+38	9
ავსტრალია	1	0	1	+29	5
სამხრეთ აფრიკა	0	0	2	-67	0

DAVIS CUP by BNP PARIBAS

დევისის თასი. ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფი

გდანსკი. პოლონეთი. 21-23 ივლისი

პოლონეთი 2:3 საქართველო

მიხალ პრზისეჟნი 0:1 ირაკლი ლაბაძე
6:3 3:6 4:6 4:6
ლუკაშ კუბოტი 1:1 ლადო ჩიხლაძე
7:5 6:4 6:2
მარიუშ ფირსტენბერგი, მარტინ მატკოვსკი 2:1 ირაკლი ლაბაძე, ლადო ჩიხლაძე
6:1 6:2 6:4
ლუკაშ კუბოტი 2:2 ირაკლი ლაბაძე
4:6 6:3 7:5 2:6 4:6
მიხალ პრზისეჟნი 2:3 ლადო ჩიხლაძე
5:7 6:7 6:7

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაღება ჯემალაძის ფოტო

ირაკლი+ლადომ პოლონეთიც დადო

ქართული სადევისთასო მატარებელი: შემდეგი გაჩერება უნგრეთი

გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც საბჭოთა ჩოგბურთი ალექსანდრე მეტრეველთან და თეიმურაზ კაკულიასთან იყო გაიგივებული, საბჭოთა ნაკრები, ანუ მეტრეველ-კაკულიას წყვილი ორჯერ დაუპირისპირდა უნგრეთის გუნდს, რომლის ლიდერიც ბალაშ ტაროცი გახლდათ. 1973 წელს ბუდაპეშტში ქართველებმა 3:2 მოუგეს უნგრელებს და სამი წლის შემდეგ კიდევ, უკვე თბილისში, სანაპიროზე მდებარე კორტებზე 4:1 დაამარცხეს მეტოქე.

ეს ისტორია იმიტომ გავიხსენეთ, რომ სექტემბერში საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრებს, სწორედ უნგრელებთან მოუწევს შეხვედრა და ამ შეხვედრაში გამარჯვებული საგაისოდ ევროფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ითამაშებს.

მეტრეველისა და კაკულიას დონემდე ირაკლი ლაბაძესა და ლადო ჩიხლაძეს ჯერ ბევრი უკლიათ, მაგრამ აღარც უნგრელებს ჰყავთ ბალაშ ტაროცი და ელიტარულ, მსოფლიო ლიგასთან მიახლოებულ ჯგუფში აღზევება ძალზე რეალური ჩანს.

გდანსკი კი ქართველი სპორტსმენებისთვის მართლაც რომ ბედნიერი ქალაქი ყოფილა. ამ ცოტა ხნის წინათ პოლონეთის ამ საპორტო ქალაქში ჩვენმა ხელბურთელებმა სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავეს და გუშინ კი საქართველოს სადევისთასო ნაკრებმა მორიგი ვაჟკაცური გამარჯვება მოიპოვა და ორი სათამაშო დღის შემდეგ არსებული ჩამორჩენის მიუხედავად, მაინც დაჯაბნა მასპინძელთა გუნდი.

არადა, პოლონელთა ყოჩი ლუკაშ კუბოტი ჯერ კიდევ პარასკევს, მას შემდეგ რაც ჩიხლაძეს მოუგო და მატჩში ანგარიში გაათანაბრა, დიდ გულზე იყო — ხვალ წყვილთა თამაშს ხომ მოვიგებთ და კვირას, ლაბაძესაც დავამარცხებ და მეხუთე მატჩს აზრს დავუკარგავო.

წყვილთა შორის პოლონელებმა მართლა იმარჯვეს. მსოფლიოს საწყვილო რეიტინგის პირველ ოცეულში მყოფი მარტინ მატკოვსკისა და მარიუშ ფირსტენბერგის დუეტმა ლაბაძესა და ჩიხლაძეს ადვილად სძლია და დევისის თასზე კი დაუწერელი კანონივითაა — თუ პირველი დღის შემდეგ ანგარიში თანაბარია, მატჩს ის იგებს, ვინც წყვილთა შორის იმარჯვებს.

კვირას, როდესაც სამი სეტის შემდეგ კუბოტი 2:1 დაწინაურდა, ამ კანონის სამართლეც რეალური ჩანდა და კუბოტის ნათქვამიც აღარ გვეჩვენებოდა ბაქიბუქობად.

ჩვენ არა, მაგრამ ეტყობა, ლაბაძე არ ფიქრობდა ასე — ირაკლიმ, ვისაც სადევისთასოდ ყოველთვის, რაღაც სხვა ჯიგარი და მუხტი აქვს ხოლმე გადანახული, მეოთხე და მეხუთე სეტებში მასპინძელთა ტრაბახა ჯილას შანსი არ დაუტოვა, თავის მე-14 სანაკრებო მატჩში მე-13 გამარჯვება მოიპოვა და ანგარიშიც გაათანაბრა.

და განმეორდა აპრილი და თბილისი — ისევე, როგორც სამხრეთ აფრიკასთან თბილისურ მატჩში, 2:2-ზე ისევ ლადო ჩიხლაძეს მოუწია გადამწყვეტი შეხვედრის ჩატარება და ჩვენმა მეორე ნომერმა არც ამჯერად შეირცხვინა თავი — სამ სეტში აჯობა მიხალ პრზისეჟნის, ოღონდ ამ სამმა სეტმა შეცდომაში არ შეგვიყვანოს — ბრძოლა უკომპრომისო იყო და ამაზე სეტების ანგარიშებიც კარგად მეტყველებს — 7:5 7:6(7:3) 7:6(8:6).

ახლა კი უნგრეთის ჯერია. ოდესღაც, საბჭოეთის სახელით მოასპარეზე და მთელი ევროპის მიერ რუსებად ცნობილი ჩვენებური ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია სისტემატურად ჯაბნიდნენ ბალაშ ტაროცისა და მის თანაგუნდელებს. ახლა იგივე ირაკლი ლაბაძემა და ლადო ჩიხლაძემ უნდა გააკეთონ.

გია მუჯირი

ფერერის ჯერი: აკასუსო



AFP შტუტგარტიდან

მთელი კვირა ყველაფერი იქითვენ მიდიოდა, რომ ცინცინატში გამარჯვებულის ვინაობა პირველ ნომრად განთესილ პატი შნიდერსა და კორტზე დიდი ხნის შესვენების შემდეგ მობრუნებულ სერენა უილიამსს უნდა გაერკვიათ, მაგრამ ნურას უკაცრავად — ფინალში ვერცერთი გავიდა და ვერც მეორე.

ჯერ კატარინა სრებოტნიკმა ნამდვილი ომი გაუმართა შვეიცარიელს და პირველი სეტის წაგების მიუხედავად, მაინც გააღწია ფინალში. სლოვენიელმა მართლაც შთამბეჭდავად ითამაშა, მთელი მატჩი ჩავარდნების გარეშე გაიარა და ფინალსაც ღირსეულად უწია.

აი, ვერა ზვონარიოვამ კი მანამდე დიდებულად მოთამაშე სერენა უილიამსს შანსი არ დაუტოვა. რუსი მატჩისთვის კარგად იყო მომზადებული და იცოდა, მეტოქე როგორ დაემარცხებინა — ზვონარიოვა ცდილობდა, მაქსიმალურად ღრმად გაეშვა ბურთი ამერიკელის ნახევარზე, თან რუსი მთელი მატჩი ბექჰენდზე ათამაშებდა მეტოქეს. სერენა კი ამ კომპონენტში აღრეც მოიკოჭლებდა და გუშინაც ბევრი შეცდომა დაუშვა.

მოკლედ, ზვონარიოვამ მეტოქე ტაქტიკურადაც და თამაშითაც დაჯაბნა და წლეულს მეორე ფინალში ითამაშებს.

„ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ათასამდე უნებლიე შეცდომა დავუშვი. აბა, ასე როგორ უნდა მომეგო“ — ცოტა კი გადაეჭარბა სერენამ, მაგრამ მთლიანობაში მართალი იყო.

სამაგიეროდ, ინდიანაპოლისში წმინდა ამერიკული ფინალი შედგება, სადაც ერთმანეთს ენდი როდიკი და ჯეიმს ბლეიკი დაეტაკებიან.

როგორც ჩანს, კრიტიკა და რეიტინგის საუკეთესო ათეულიდან გავარდნა წაადგა ენდი-ბოის და რობი ჯინეპრისთან საუკეთესო თამაში აჩვენა. მართალია, როდიკმა მხოლოდ 8 ეისი ჩააგდო, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი ყუმბარმტყორცნი მაინც რიგზე იყო — ენდის გიჟურ მოწოდებებს ინდიანაპოლისის აწ უკვე ექსჩემპიონი ჯინეპრი ვერაფერს უხერხებდა და ერთი ბრეიკ-პოინტიც კი არ ჰქონია.

ბლეიკმა კი ძალიან არასტაბილურად ითამაშა. ქსავიე მალისთან მუქანანმა ამერიკელმა ერთი სეტი პირწმინდად წააგო, მაგრამ ორი მოიგო და როდიკთან რანდევუც გაინაღდა.

როდიკისგან განსხვავებით, ბლეიკი წლეულს კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს და აგერ უკვე მეხუთე ფინალში ითამაშებს. წინა ოთხიდან ბლეიკმა ორი — ლასვეგასსა და მელბურნში — მოიგო.

კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა ნოვაკ ჯოკოვიჩმა, თუმც სერბს ჯერაც ყველაფერი წინ აქვს, რადგანაც ჯერ მხოლოდ 18 წლისაა. საკვირველია, მაგრამ თავის კარგ და ძლიერ მოწოდებას ბალკანელი ნელ თიხნარზე უფრო კარგად იყენებს, ვიდრე სწრაფ ბალახსა თუ ჰარდზე.

ასეა თუ ისე, ჯოკოვიჩს თიხნარზე თამაში ეადვილება და აქ არანაირ ავტორიტეტს არ დაგიდეგთ. ეს სერბმა „როლან გაროსზეც“ დაამტკიცა, როდესაც მეოთხედფინალში ითამაშა. აგერ ამერსფორტსში კი ბალკანელმა გრუნტის ისეთ აღიარებულ სპეციალისტებს მოუგო, როგორებიც გილერმო კორია და ნიკოლას მასუ არიან.

ერთიც, ჯოკოვიჩი პირველი სერბია, რომელმაც ამერსფორტში იმარჯვა.

ევროპაში გუშინ გასრულებულ მეორე ფინალში კი ნამდვილი ტრილერი შედგა. შტუტგარტელი მაყურებლის წინაშე დავიდ ფერერმა და ხოსე აკასუსომ თავი არ დაზოგეს და ის ბრძოლა გამართეს, ალბათ მხოლოდ კოლიზეუმში რომ უხილავთ ძველ რომაელებს.

5-სეტიანი და 5-საათიანი ომი ესპანელმა მოიგო. ნამატჩევს ფერერი ადამიანს აღარ ჰგავდა და გამარჯვებულის კუთვნილი თასი ძელისღა აღმართა.

ეს პირნეელის მეორე ტიტულია. სხვათა შორის, ფერერს პირველი ტიტულის მოსაგებადაც ფინალში აკასუსოს დამარცხება დასჭირდა — ესპანელმა ეს 2003 წელს, ბუქარესტში შეძლო.

მოკლედ, თუ აკასუსო ფინალში არ იქნება, ფერერი ვერაფერს მოიგებს.

ძალა ლომაშვილი

კაცები
შტუტგარტი. გერმანია თიხნარი
საპრიზო 586 250 €

ნახევარფინალი

ხოსე აკასუსო (5, არგენტინა) — ხუან მონაკო (არგენტინა) 4:6 6:2 6:2; დავიდ ფერერი (3, ესპანეთი) — ტომაშ ბერდიხი (2, ჩეხეთი) 6:3 7:5

ფინალი

დავიდ ფერერი (3, ესპანეთი) — ხოსე აკასუსო (5, არგენტინა) 6:4 3:6 6:7 7:5 6:4

კაცები
ინდიანაპოლისი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 575 000 $

ნახევარფინალი

ჯეიმს ბლეიკი (1, აშშ) — ქსავიე მალისი (9, ბელგია) 6:3 2:6 6:1; ენდი როდიკი (2, აშშ) — რობი ჯინეპრი (4, აშშ) 7:5 6:3

კაცები
ამერსფოორტი. ჰოლანდია.
თიხნარი საპრიზო 323 250 €

ნახევარფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — გილერმო კორია (1, არგენტინა) 6:2 1:0 (უარი); ნიკოლას მასუ (4, ჩილე) — რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) 6:1 6:3

ფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — ნიკოლას მასუ (4, ჩილე) 7:6 6:4

ქალები
ცინცინატი.
აშშ. ჰარდი
საპრიზო 175 000 $

ნახევარფინალი

ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — სერენა უილიამსი (აშშ) 6:2 6:3; კატარინა სრებოტნიკი (4, სლოვენია) — პატი შნიდერი (1, შვეიცარია) 4:6 6:3 7:6

ქალები
პალერმო. იტალია.
თიხნარი
საპრიზო 145 000 $

ნახევარფინალი

ტატიანა გარბინი (იტალია) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:2 6:2; ანაბელ მედინა გარიგესი (2, ესპანეთი) — ლუსი შაფაროვა (4, ჩეხეთი) 6:4 6:4

93-Ე ᲢᲣᲠ ᲓᲔ ᲤᲠᲐᲜᲡᲘ 2006, 1-23 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲣᲫᲐᲦᲚᲝ ᲫᲕᲔᲣᲧᲐᲜᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ. ᲛᲐᲘᲜᲪ ᲚᲔᲜᲓᲘᲡᲖᲔ ᲐᲚᲐᲚᲘᲐ



AFP

ᲤᲚᲝᲘᲓ ᲚᲔᲜᲓᲘᲡᲘ

დაიბადა 1975 წლის 14 ოქტომბერს ლანკასტერში (აშშ). ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე. სიმაღლე 178 სმ. წონა 68 კგ. გუნდი — „ფონაკი" (შვეიცარია). ხუთი „ტურ დე ფრანსი": 2002 წელს დაიკავა 61-ე ადგილი, 2003 წელს — 77-ე, 2004 წელს — 23-ე, 2005 წელს — მე-6, 2006 წელს — პირველი. „ტურზე" მოგებული აქვს სამი ეტაპი: 2003 წელს ერთი, 2004 წელს — ერთი და 2006 წელს — ერთი. 2006 წელს „ტურ დე ფრანსამდე" მოიგო სამი მრავალდღიანი რბოლა: „კალიფორნიის ტური", „ჯორჯიის ტური" და „პარიზი-ნიცა". წლევანდელ „ტურზე" მოიგო ერთი ეტაპი (მე-17), ერთხელ მეორე იყო (მე-7) და ორჯერ მესამე (მე-11 და მე-19)

„ᲢᲣᲠ ᲓᲔ ᲤᲠᲐᲜᲡᲖᲔ" ამერიკელთა ჰეგემონია გრძელდება. ამ საქმეს საფუძველი გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ჩაეყარა საფუძველი, როდესაც გრეგ ლემონდმა 1986, 1989-90 წლებში სამჯერ მოიგო უდიდესი რბოლა, ხოლო ამერიკული ერა ფრანგულ გზებზე უკვე დიადმა ლენს არმსტრონგმა შექმნა, „ტურის" 1999-2006 წლებში შვიდჯერ ზედიზედ მოგებით.

არმსტრონგი წავიდა და ამერიკელთა ბატონობა გაგრძელდა. რიგით 93-ე „ტურ დე ფრანსი" 30 წლის ფლოიდ ლენდისმა მოიგო და მასზე ნამდვილად ალალი არის ეს გამარჯვება. იმაზე ლაპარაკს, რომ „ტურიდან" მოკვეთეს ივან ბასო, ივან ულრიხი, ალექსანდრ ვინოკუროვი, ხოლო ალეზანდრო ვალვერდე რბოლას დასაწყისშივე დაშავდა, ახლა აზრი აღარ აქვს. მათგან, ვინც იყო, ლენდისი ყველას სჯობდა და რა მისი ბრალია, რომ მე-17 ეტაპზე, ალპებში, პელეტონს ჩაეძინა და წინა დღეს თითქოსდა უიმედოდ ჩამორჩენილ ფლოიდს მკვდრეთით აღდგომის საშუალება მისცა.

არადა, მე-16 ეტაპზე განცდილი კრახის შემდეგ ამერიკელი მართლაც უიმედოდ, მთელი 8 წუთით აგებდა და მე-17, ოთხუდელტეხილიან ეტაპზე ლენდისი ვა-ბანკზე წავიდა, პირველივე აღმართში წინ გავარდა. რბოლის ლიდერებმა არხეინად გააყოლეს თვალი გაქცეულს და მიამიტურად იფიქრეს, ეს განწირული კაცის სასოწარკვეთილი საქციელია, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. ლენდისი არ გატყდა, მთელი 130 კილომეტრი მარტომ იარა და ფაქტობრივად, მთელი ჩამორჩენა ამოქაჩა — ყველას გააასწრო ორი ესპანელის გარდა, იმ ორთანაც წამებსლა აგებდა და თანაც, წინ ინდივიდუალური რბოლა იყო, რომელშიც ლენდისი ამ ესპანელებს, ოსკარ პერეირო სიოსაც და კარლოს სასტრესაც მთელი თავით სჯობს.

შაბათს, როდესაც ლე კრეზოდან მონტე ლე მინამდე 57 კილომეტრიანი რბოლა გაიმართა, ლენდისმა ყველას თავისი ადგილი მიუჩინა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, თავად დაყოფილი სტარტით რბოლამ მიუჩინა თავ-თავისი ადგილი ყველა მრბოლს, რადგანაც ლენდისმა ეს ეტაპი ვერ მოიგო, მაგრამ პერეირო სიოსა და სასტრეს გვარიანად აჯობა და კიდევ ერთხელ, უკვე საბოლოოდ დაიბრუნა ყვითელი მაისურა.

ინდივიდუალური რბოლა, მეორედ ამ „ტურზე", დიდი უპირატესობით მოიგო უკრაინელმა სერგეი გონჩარმა. მეორე გერმანელი ანდრეას კლოდენი იყო, რომელმაც ლენდისს 30 წამით აჯობა, მაგრამ კლოდენი, მისდა სამწუხაროდ, იმ მიამიტთა შორის იყო, მე-17 ეტაპზე ამერიკელის გაქცევას შორიდან რომ ადევნებდა თვალს და შაბათს ნაჩვენებმა შედეგმა გერმანელი, ოდენ მესამე ადგილზე ასწია საერთო ჩათვლაში.

სასტრე თავიდანვე უიმედოდ ჩამორჩა ლენდისს და საბოლოო ჯამში მეოთხე ადგილს დასჯერდა, ხოლო პერეირო სიომ გმირულად იბრძოლა, თითქმის ნახევარი დისტანცია ინარჩუნებდა კიდეც ვირტუალურ პირველ ადგილს, მაგრამ ბოლომდე ვერ გაძლო და საბოლოო ჯამში თითქმის ერთი წუთი წააგო ამერიკელთან.

ლენდისი ჩემპიონია და ყვითელი მაისურა მისია; საუკეთესო სამთო მრბოლისთვის განკუთვნილი წითელწინწკლებიანი მაისურა ზედიზედ მეორედ ირგუნა დანიელმა მიქაელ რასმუსენმა; საუკეთესო სპრინტერის მწვანე მაისურა ავსტრალიელ რობი მაკიევნს ერგო, ხოლო საუკეთესო ახალგაზრდისთვის (25 წლამდე) განკუთვნილი თეთრი მაისურა შარშანწინდელი „ჯიროს" მომგებმა იტალიელმა დამიანო კუნეგომ დაისაკუთრა, რომელმაც ბევრისთვის მოულოდნელად, მშვენიერად იასპარეზა ინდივიდუალურ რბოლაში და თავის გერმანელ კონკურენტს, მარკუს ფოტენს უპრობლემოდ აჯობა.

გაისად ნაკლებად საგარაუდოა და 2008 წლისთვის კუნეგო, ალბათ, ჩემპიონობისთვისაც იბრძოლებს. ფოტენიც კარგი მრბოლი ჩანს და ლუქსემბურგელმა ფრანკ შლეკმაც ბევრი გააკვირვა. ესენი ყველანი მომავლის მრბოლები არიან. ისევე, როგორც ვალვერდე, რომელიც ჯერ მხოლოდ 26 წლისაა. მომავალში ისინი იბრძოლებენ ყვითელი მაისურასათვის და ალბათ, არც ბასოს უოქვამს ბოლო სიტყვა - ეს იტალიელი აუცილებლად გამოჩნდება „ტურზე". მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდებია. რეალობა კი ფლოიდ ლენდისია და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, მიუხედავად ყველაფრისა, ეს ამერიკელი დირსეული ჩემპიონია.

ᲖᲘᲐ ᲛᲣᲯᲘᲠᲘ

ᲢᲣᲠ ᲓᲔ ᲤᲠᲐᲜᲡᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲚᲓᲕᲘᲗ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ (21 ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, 36 ᲢᲘᲢᲣᲚᲘ)

ჟაკ ანკეტილი — 5 (1957, 1961-64)
ბერნარ ინო — 5 (1978, 1981-82, 1985)
ლუსიენ ბობე — 3 (1953-55)
ლუსიენ პეტი-ბრეტონი — 2 (1907-08)
ანდრე ლედუკი — 2 (1930, 1932)
ანტონინ მანიე — 2 (1931, 1934)
ბერნარ ტევენე — 2 (1975, 1977)
ლორან ფინიონი — 2 (1983-84)
მორის გერინი (1903), ანრი კორნე (1904), ლუი ტრუსელიე (1905), რენე პოტიე (1906), ოკტავ ლაპისი (1910), გუსტავ გარიგუ (1911), ანრი პელისიე (1923), ჟორჟ სპეშარი (1933), როჟე ლაპერიე (1937), ჟან რობიკი (1947), როჟე ვალკოვიაკი (1956), ლუსიენ აიმარი (1966), როჟე პინიონი (1967)

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ (10 ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, 18 ᲢᲘᲢᲣᲚᲘ)

ედი მერქსი — 5 (1969-72, 1974)
ფილიპ ტისი — 3 (1913-14, 1920)
სილვერ მაესი — 2 (1936, 1939)
ფერმენ ლამბო — 2 (1919, 1922)
ოდილ დეფრაიე (1912) ლეონ სკიერი (1921), ლუსიენ ბუისი (1926), მორის დიუვალი (1929), რომან მაესი (1935)

ᲐᲨᲨ (3 ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, 11 ᲢᲘᲢᲣᲚᲘ)

ლენს არმსტრონგი — 7 (1999-2006)
გრეგ ლემონდი — 3 (1986, 1989-90)
ფლოიდ ლენდისი (2007)

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ (6 ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, 9 ᲢᲘᲢᲣᲚᲘ)

ოტავიო ბოტეჩია — 2 (1924-25)
ჯინო ბარტალი — 2 (1938, 1948)
ფაუსტო კოპი — 2 (1949, 1952)
გასტონ ნანინი (1960), ფელიჩე ჯიმონდი (1965), მარკო პანტანი (1998)

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ (4 ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, 8 ᲢᲘᲢᲣᲚᲘ)

მიგელ ინდურაინი — 5 (1991-95)
ფედერიკო ბაამონტესი (1959), ლუის ოკანა (1973), პედრო დელგადო (1988)

ლუქსემბურგი (3 ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, 4 ᲢᲘᲢᲣᲚᲘ)

ნიკოლას ფრანტცი — 2 (1927-28)
ფრანსუა ფაბერი (1909); შარლ გაული (1958)

შვეიცარია (2 ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, 2 ᲢᲘᲢᲣᲚᲘ)

ფედრი კუბლერი (1950, ჰუგო კობლეტი (1951)

ჰოლანდია (2 ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, 2 ᲢᲘᲢᲣᲚᲘ)

იან იანსენი(1968), იოპ ზოტემელკი (1980)

ირლანდია

სტივ როში (1987)

დანია

ბიარნე რიისი (1996)

გერმანია

იან ულრიხი (1997)

22 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. ᲛᲔ-19 ᲔᲢᲐ�პᲘ. ᲚᲔᲙᲐᲠᲘᲝ — ᲛᲝᲜᲢᲔ ᲚᲔ ᲛᲘᲜ. 57 ᲙᲛ.

ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲑᲝᲚᲐ

1. სერგეი გონჩარი (უკრაინა, T-მობაილი)	სთ. 75თ. 45წმ.
2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, T-მობაილი)	+41წმ.
3. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი)	+15თ. 11წმ.
4. ოსკარ პერეირო სიო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+25თ. 40წმ.
5. სებასტიან ლანგი (გერმანია, გეროლშტაინერი)	+35თ. 18წმ.

23 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. ᲛᲔ-20 ᲔᲢᲐ�პᲘ. ᲨᲢ ᲐᲜᲢᲠᲘᲜᲘ — ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 154,5 ᲙᲛ.

1. ტორ ჰუსპოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი)	სთ. 56 წთ. 52 წმ.
2. რობი მაკიევნი (ავსტრალია, ლოტო)	
3. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC)	
4. ერიკ ცაბელი (გერმანია, მირლამი)	
5. ლუკა პაოლინი (იტალია, ლიქუიგასი)	ყველას იგივე დრო

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ

1. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი)	89 სთ. 39 წთ. 30 წმ.
2. ოსკარ პერეირო სიო (ესპანეთი, ილერს ბალეარსი)	+57 წმ.
3. ანდრეას კლოდენი (გერმანია, T-მობაილი)	+1 წთ. 29 წმ.
5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+35თ. 13 წმ.
6. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი)	+75თ. 6 წმ.
7. სირილ დესელი (საფრანგეთი, AG2R)	+85თ. 41 წმ.
8. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R)	+95თ. 37 წმ.
9. აიმარ სუბალდია (ესპანეთი, ეუსკალტელი)	+125თ. 5 წმ.
10. მაიკლ როჯერსი (ავსტრალია, T-მობაილი)	+15 წთ. 7 წმ.
11 ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC)	+175თ. 46 წმ.
12 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე)	+195თ. 19 წმ.

ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲔᲑᲘ

ედი მერქსი (ბელგია	34
ბერნარ ინო (საფრანგეთი)	28
ლენს არმსტრონგი (აშშ)	25
ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი)	16
მიგელ ინდურაინი (ესპანეთი)	12
ჯინო ბარტალი (იტალია)	12
მარიო ჩიპოლინი (იტალია)	12
ერიკ ცაბელი (გერმანია)	12
ფილიპ ტისი (ბელგია)	12



კოკაიმ კოკა არ დალვა

ისევ ასასიორუ! იმპერატორის თასის მანამდე 16-ჯერ შემმართავმა მონღოლმა გოლიათმა ნაგოიას ბაშოც მოიგო და თაროზე კიდევ ერთი პრესტიჟული თასი შემოდო.

მაგრამ „ცისფერმა დრაკონმა“ ბაშო მთლად კარგ ხასიათზე მაინც ვერ ჩაამთავრა. დაუმარცხებელი სვლა ზედ ბოლო ტურში შეწყვიტა და ტურნირი 14-1 ბალანსით დაასრულა. თან ვისთან წააგო?! ყველაზე არასასურველ მეტოქესთან, ასევე მონღოლ ხაკუხოსთან, რომელმაც პირველად როდი გაამწარა ამ საუკუნის უმძლავრესი სეკიტორი. რაღაც წყევლასავით ექცა ასასიორუს ახალგაზრდა და ლოყებდაბერილი თანამემამულე, პირველად როდი ხდება, ბაშოს ერთი კინკილა მარცხით რომ ასრულებს და ის ერთი ალიყურიც ხაკუხოსგან აქვს ნაწვნევი.

ცალკე თემაა ხაკუხო, ბიჭი ნიჭიერი და მრავალღონე, თუმც ტრამვების გადამკიდე, ტიტულები ასასიორუსავით ვერ აცვივა. ხაკუხომ მაისში ერთ-ერთი ტურნირიც მოიგო და ახლა ნაგოიაში რომ ემარჯვა, იქნებ იოკოძუნას საპატიო წოდებისთვისაც გამოეკრა ხელი, მაგრამ აქ თავიდანვე დაუცდა ფეხი, საწყის ბრძოლებში ორჯერ დაეცა და მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ ყველა შემხვედრი „დატორა“, ჩემპიონობა ბოლო ტურში ასასიორუსთან შერკინებამდე გაუფრინდა ხელიდან. მე-14 ტურში ასასიორუმ ოძეკი ტიოტაიკაი რომ დაჩაგრა, ცხადი გახდა, ორმარცხიან ხაკუხოს აღარაფერი ეშველებოდა. მაინც ლომივით იბრძოლა და დააჩოქა დიდი ჩემპიონი.

სუმოს დიდებულებმა კი ასე გადაწყვიტეს: თუ ხაკუხო მომდევნო ბაშოზეც არანაკლებ იდევკაცებს, იოკუძუნას ტიტულსაც მიაგებენ, მანამდე კი ის კვლავ ოძეკის სტატუსით ივლის. და ერთიც: 21-ე საუკუნეს ჯერ მხოლოდ ერთი იოკოძუნა ჰყავს, თუნც არ უნდა, ეს გახლავთ ასასიორუ.

მშვენივრად იჭიდავა იაპონური სუმოს ბორცვაკების ქართველმა დევმა კოკაიმ. ლევან ცაგურიამ 14 ტურის შემდეგ 10-4 ბალანსი მოუგროვდა და ბოლო ტურში გამარჯვების შემთხვევაში საკუთარ რეკორდს დაამყარებდა, მაგრამ მძლავრ ტოჩინონადასთან დამარცხდა და ძველი პირადი რეკორდი მხოლოდ გაამეორა.

აძაძი ასკურავა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. ორადეა. რუმინეთი. 22-29 ივლისი

ორი მატჩი, ორი მარცხი

რუმინეთის ქალაქ ორადეაში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდა წყალბურთელთა ჩემპიონატის მონაწილე თექვსმეტ გუნდს შორის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ორად ორი ნაკრები გამოდის — საქართველოსი და რუსეთის. ერთმაც და მეორემაც პირველ დღესვე წააგო. რუსეთის ნაკრებს, რომელიც **D** ჯგუფშია, ესპანელებმა 13:8 სძლიეს, ხოლო **B** ჯგუფში საქართველო მასპინძლებთან დამარცხდა 6:13.

საინტერესოა, რომ საქართველოსა და რუმინეთის გუნდების შეხვედრის პირელი ორი პერიოდი თანაბარი ანგარიშით დასრულდა (4:4). აქედან, პირველი პერიოდი მინიმალური უპირატესობით მასპინძლებმა მოიგეს (2:1), მეორე კი სტუმრებმა (3:2). ჩვენდა სამწუხაროდ, მესამე პერიოდში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. რუმინელებმა ექვსჯერ დალაშქრეს სტუმართა კარი, რასაც საქართველოს ნაკრებმა ერთადერთი გატანილი ბურთით უპასუხა. შეხვედრის ბედიც ამან გადაწყვიტა და საბოლოოდ რუმინელებმა იმარჯვეს.

ჩემპიონატის პირველ დღეს ჩვენს ჯგუფში გამართული საფრანგეთისა და უნგრეთის შეხვედრა უნგრელებმა 8:7 მოიგეს.

სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებმა გუშინ მეორე შეხვედრაც წააგო ფრანგებთან — 11:20. მართალია, მეოთხე პერიოდი ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა (5:4), მაგრამ პირველი სამი ფრანგების ისეთი უპირატესობით (5:3, 4:1, 7:2) წარიმართა, რომ მეოთხეში ქართველები მათი დამწევები აღარ იყვნენ.

შეჯიბრებების პირველ დღეს სხვა ჯგუფებში შეხვედრები ასე დასრულდა:

A ჯგუფი

სერბეთი 20:1 დიდი ბრიტანეთი
სლოვაკეთი 13:7 სლოვენია

B ჯგუფი

პოლონეთი 4:22 ხორვატია
საბერძნეთი 8:6 იტალია

C ჯგუფი

გერმანია 8:5 ნიდერლანდები
რუსეთი 8:13 ესპანეთი

ისროლეს და დაასრულეს

ხორვატიის ქალაქ ზაგრებში გუშინ მსროლელთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და ცხრა სპორტსმენისგან შემდგარი ქართული დელეგაციის ორმა მესამედმა საქმე სწრაფადვე მოამთავრა.

მოსალოდნელი იყო და ვერც ჩვენმა გოგონებმა და ვერც კაცებმა რაიმე წარმატებას ვერ მიაღწიეს. გოგონების ნაკრებმა თეონა იაშვილის (363 ქულა), მეგი ქადაგიძისა (346) და თათია უშვერიძის (343) შემადგენლობით ჯამში 1052 ქულას მოუყარა თავი და პნევმატური პისტოლეტით სროლაში 17 გუნდს შორის მე-17 ადგილი დაიკავა.

31 გუნდში 27-ე შედეგი აჩვენეს იმავე იარაღით მსროლელმა კაცებმა. სერგი ჩიტიშვილმა (564), ლევან ქადაგიძემ (555) და ალექსი კუჭუხიძემ (643) ჯამში 1662 ქულა დაგროვეს.

გატი გაიტანეს

შაბათს საღამოს ნიუ ჯერსიში ძალიან საინტერესო ჯახი გაიმართა. ერთმანეთს პირველ საშუალო წონაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, არგენტინელი კარლოს ბალდომირი და კანადელი ლეგენდა არტურო გატი დაეტაკნენ.

გატის, მსოფლიოს ჩემპიონს სხვადასხვა წონებში, ცოტა ხნის წინ 34 წელი შეუსრულდა, მაგრამ კვლავაც მშვენიერ ფიზიკურ ფორმაშია და აგერ ახალ წონაშიაც სცადა ბედი. თვითონ კანადელი ძალიან ოპტიმისტურად იყო განწყობილი და ამბობდა, ნიუ იორკში მოგებული ჩემპიონობა ბალდომირს ნიუ ჯერსიში უნდა წავართვაო.

თუმც ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ არგენტინელს გატის ბანაკში არ უფრთხოდნენ. კანადელის მწვრთნელი ბადი მაკგირტი თავიდანვე ამბობდა, — მერჩივნა, ვინმე ნოკაუტმისტერს შევხვედროდით, ვიდრე ბალდომირისნაირ ფიზიკურად ძლიერ და გაუტეხავ მოკრივესო.

მართლაც, არგენტინელი ძალიან ამტანი და ყველასათვის უხერხული მეტოქეა, რომლის „ფოლადის ყბაზეც“ კარგა ხანია, მსოფლიოს უძლიერესი მოკრივეები ხელებს იმტვრევენ. ამ ბრძოლამდე ბალდომირის ანგარიშზე 42 მოგება (12 ნოკაუტით), 9 წაგება და 6 ფრე იყო.

შაბათის ბრძოლა კი მთლიანად არგენტინელის უპირატესობით წარიმართა. ტიტულის მოგების შემდეგ გამართულ თავის პირველ ბრძოლაში ბალდომირი ცდილობდა, ყველასათვის დაემტკიცებინა, რომ ის ნამდვილი ჩემპიონია - სამხრეთამერიკელი უტევდა და გატის დარტყმებისაგანაც კარგად იცავდა თავს.

გატი რაღას აკეთებდა? ცდილობდა, ახლო ბრძოლას გაჰქცეოდა, რადგან არგენტინელის მარჯვენას ვერაფერს უხერხებდა. ბალდომირი არც გატის დაცვას დაგიდევდათ და თავი სახელიან მეტოქეს თითქმის აუცდენლად ურტყამდა.

ბალდომირის უპირატესობა მესამე რაუნდში გამოიკვეთა, როცა გატიმ მეტოქის დარტყმების მთელი კასკადი მიიღო კორპუსში, რაც თავში მიღებული ჭუკით დაგვირგვინდა.

მეექვსე რაუნდში კანადელმა მარჯვენა ხელი დაიზიანა... აქ ყველა მიხვდა, რომ გატის საქმე წასული იყო. ვეტერანმა კიდევ ორი რაუნდი გაძლო რინგზე, რომლის განმავლობაშიც ბალდომირმა თავისი სახელოვანი მეტოქე კარგად „დაამუშავა“. მეცხრე რაუნდის ბოლოს კი გატიმ ვეღარ გაუძლო ბალდომირის შეტევას, თოკებზე მიწვა და ნელ-ნელა რინგზე ჩასრიალდა. რეფერისაც დიდხანს არ უფიქრია და არგენტინელს ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება ჩაუთვალა.

კახა ლოგაუშვილი



AFP ნიუ ჯერსიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29 **ელექტრონული ფოსტა** sarbieli@gol.ge **ელექტრონული ვერსია** http://www.sarbieli.com.ge